

Nº II



1894

## ქურნალის „ჯეჯილი“-სა

I.	ჩემს შაქროს, ლექსი ბარ. ჯორჯაძისა . . . . .	3
II.	პატარა თომას. თავგადასაცალი — ზღაპრული ამბავი (ფრანგულიდან) — ან. თ.-წ — ისა . . . . .	5
III.	ასკილი და ია, ლექსი — მღვიმელისა . . . . .	20
IV.	ციცუნია, ამბავი — პართენ გოთების . . . . .	22
V.	კრუზო, ლექსი — დურტუ მეგრელისა . . . . .	27
VII.	უძლიერესი სიყვარული მოყვასსა, წმილათა ცხოვ- რებიდან — იაკობ სკიმონიძისა . . . . .	28
VII.	ვირი და მგელი, ხალხური ლექსი . . . . .	31
VIII.	მშიერაძის ოჯახი — ეგატ. გაბაშვილისა . . . . .	33
IX.	მისწავლე, ლექსი — კორტონისა . . . . .	42
X.	<u>რქიანი</u> , მოთხრობა — ტ. რაზიგაშვილისა . . . . .	44
XI.	გაზაფხული, ლექსი — წევრისა . . . . .	54
XII.	სურათები ფრანგულთა ცხოვერებიდან — ილიკოსი	55
XIV.	ბებიას სათვალები . . . . .	63
XV.	გულ-კეთილი ხალისა . . . . .	64
XVI.	ალალ მართალიპასური . . . . .	64
XVII.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, ანაგრამმ .	დსხ.



၆၁၂၃၁၄၇၃၀၉၉၈ ၅၁၂၁၄၈၂၀၂၆၀

፩፻፭፭፳፯፲

იზარდე, მწვანე ჯეჯიღო, დაპურდი, გახდი ყანაო!...  
ი. ლ.

Nº II

ଓଡ଼ିଆ କବିତା ମେଲ୍ଲିଙ୍ଗା ପ୍ରକାଶନ

ଓଡ଼ିଆ ଉଦ୍‌ଧୂ

სტამბა გ. ღ. როტინანცია || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр , д. № 41,  
1894.

Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Февррала 1894 года.

---

ჩ ე მ ს შ ა ქ რ თ ს



კილი-შვილო ნანინა,  
ჰაწაწავ, გულის-გულო  
განგებაძ მოგავლინა,  
რომ ჩვენ გვამსიარულო.

და მეც ღმერთს შეგავედოთ,  
აჭავავდე, გაზარდო,  
ჭაბუკობის ტკბილი დოთ,  
მომეო და ინავარდო.

რაკი იცნო სოფელი,  
მრუდე გზას მოერიდე,  
იუგ სიმართლის მთქმელი,  
და საქმეს სწორეთ ჭიჭრიდე.

შირ-მოთნე ნუ იქნები,  
და ნურც ფარისეველი,  
რომ მტრები და მოუვრები,  
იუვენ შენი მქებელი.

კაცურ კაცს რაც შეჭირის,  
ის ვალი შეასრულე,  
ტანჯვა, ვაება ერის,  
შენ მხვედრათ დაიგულე.



ଶ୍ରୀଶାଙ୍କିତ ଦେଖିଲୁଗାଳି,  
ଶ୍ରୀଶାଙ୍କିତ ଦେଖିଲୁଗାଳି,  
ଶ୍ରୀଶାଙ୍କିତ ଦେଖିଲୁଗାଳି,  
ଶ୍ରୀଶାଙ୍କିତ ଦେଖିଲୁଗାଳି.

ଶାହିତ୍ୟ ଜୀବନକାଳି.

## ბატარია თომას თავისი და სავალი

(ზღაპრული ამავი)



თომა სანადიროდ გაემგზავრა

**00** უმცა გაზაფხული დადგა, მაინც ზამთარ-  
სავით ციოდა; გარშემო ადგილები ისევ  
ისე დათოვლილი იყო.

თომაშ მიღღო საჩუქრად შვენიერი თხი-  
ლამურები ეინულზე სასიარულოთ და ამაზე  
უბეთესი საჩუქრი თომასთვის რაღა იქნებო-  
და, თუნდ დელექებში ესეირნა, თუნდ მინდორ-  
ში, თუნდ გაუინულ ტბაზე და თუნდ შიგ სო-  
ფელში—ამისთვის ერთი იუ, თანასწორად უსაროდა.

ბატარია თომას ერთი კარ ჩვეულება სჭირდა, რომე-  
ლიც არც ერთ ამსანაგს არ ჰქონდა. სირბილში, თუ სია-  
რულში, თავი ეოველთვის მაღლა ეჭირა, მართალია სანამ  
თომა ამას შეეჩერდა, სძირად ფეხები ჟაერში რჩებოდა  
და ფხვირს იგანგლავდა თოვლში.

ჩვენი თომა როდესაც სრიალით ჩადიოდა დიდ დაღ-  
მართზე, თავი მაღლა ეჭირა, ერთს არ წაიბორძისებდა.



გაოცებული ამხანაგები შეცძეროდენ ამ თავ-მომწონე ქმნა  
წვილს და ჰქვირობდენ.

ის იუო აღდგომის ღლესასწაული ღებოდა, მოსწავ-  
ლები უნდა შეოლიდან დაეთხოვათ, ერთი ღლე-და ჰქონ-  
დათ კიდევ სასწავლებელში. წასასვლელი და სწორედ ამ  
ღლეს საუცხოვო დილა დადგა.

თომას საძინლად მოუნდა სეირნობა, თავი ვეღარ შეი-  
კავა, გაიკეთა ფეხებზე თხილამურები, აიღო შვილდისარი  
და გასწია ტექში სანადიროთ.

— რა უშავს, როცა დავბრუნდები, გაკვეთილს მაშინ  
ვისწავლი. ტექში ხომ დიდხანს არ დავრჩები. აი, კურდ-  
ღლის კვალი, ვაი! კურდღელი კი არსადა ჩანს? არაფერია,  
კვალს ავედევნები და ვიპოვი. დედაჩემს რა ნაირად გაე-  
სარდება სადილად რომ ჩემი მოკლული კურდღელი მოუ-  
ტანო! თომა დაიღალა ბევრი კურდღლის ძებნით, კეალმა  
მოატეჭა, ბოლოს თომაშ ასედა ფრინვლებს.

— არც ფრინვლებია დასაწუნი, ზოგიერთი მალიან  
გემრიელია, მეტადრე შემწვარი — წნილით და მაშარაბით.

მაგრამ საუბედუროდ ვერც ფრინვლები დახოცა.


— „მოდი დაუმიზნებ ციუვს, ცოტათი მოგვდებ ცხვირ-  
ში, რომ ჩამოვარდეს მის, მერე წავიუვან და ჩავსკაშ  
გალიაში. რა სასაცილო იქნება ციუვი, როდესაც გალიაში  
მოჰევება ისეთსავე ტრიალს, როგორც ტოტებზე იცის  
ტრიალი.

თომა ხეს ამოეფარა და დაუმიზნა. ციუვი მიიმალა,  
მერე გამოხნდა, ბოლოს სულ დაიკარგა.

— რა ნაირად მომშიგდა, თქვა თომაშ, დროა სახლში  
დავბრუნდე. დილით ერთი ლუკმა ვჭამე და ის იუო და ისა.

გზაზე უსათუოდ გაჭკაჭს მოჰყდავ, მაგრამ გაჭკაჭი რაში გამოვიყენო? მართლა, კატას მოუგდებ. არა, სჯობია საჯინიბეს კარებზე ჩამოვეიძო, რომ უველამ ნახოს და სოქვას: აი, თომას მოკლული კაჭკაჭიო.

თომასთვის თავის დაძლინება იუო, რომ ხელცარიელი დაბრუნებულიერ სახლში. ვერც კურდღელი, ვერც რომელიმე ფრინველი, ვერც ციცვი და ვერც კაჭკაჭი იგდო ხელთ.



თომას მაინც არ მოისვენა, ახლა უნდოდა შეეტევო რომ იმისი გასროლილი ისარი სადამდის მისწვდება და დაუმიზნა საქათმის ფანჯარას.



ისარი სწორედ საქათმის კედლამდის მივიღა.

— ნუ თუ ფანჯრამდის არ მიაღწევს ეს ისარი, იყიქ-  
რა თომაშ და ერთი კიდევ დაუმიზნა საქათმის ფანჯარას.

ახლა კი გატედა ფანჯრის მინა, ისარი საქათმეში შე-  
ვარდა და მოხვდა მამალს, რომელიც ფანჯარასთან მხეტე  
თბებოდა.

„რა უბედურება, ახლა შინ რა პირით დავბრუნდე.

ამ დროს გამოხნდა მამლის სიკვდილით გააფთრებუ-  
ლი მექათმე დედაკაცი.

თომაშ ტეუილის თქმა არ იცოდა და თავის დანაშა-  
ულობა არ დამალა. მექათმე დედაკაცი მაშინვე წავიდა სა-  
ჩივლელად.

• თომაშ დედ-მამასაც ეველაფერი მართალი უთხრა, რომ  
შეოლას მოსცდა, გაკვეთილი არ შეისწავლა და რომ  
შვილდ-ისარი საქათმეს სტეორცნა. მამამ სასჯელად დღე-  
სასწაულებში აღარსად გაუშვა.

საბრალო თომა იჯდა ოთახში, წიგნი კალთაში ედო  
და უკურებდა იმისი ამსანაგები როგორ დასრიალებდენ  
ციგით და მათი კასკასი თითქმის ესმოდა.

თომა დაფიქრიანდა, წიგნი აღარ აკონტებოდა. ის  
სულ იმას ფიქრობდა, რომ რაღა სწორედ იმ დღეს იურ  
ამისთანა შენიერი დარი, რაღა სწორედ იმ დღეს არ  
იცოდა გაკვეთილი, რაღა სწორედ იმ დღეს იჯდა მომა-  
კვდავი მამალი ფანჯარასთან?

თომა ნადიობას მგეღზე

მარიამობისთვემ მოაწია; თომამ გაიგო, რომ ამ დროს  
ტეუში ბეჭრი მგელი იცის და გაისარა, თავის უოჩაღობას

გამოიჩენდა. შეოლაში ხშირად იკვეთდა: მცელს რიგორ რამედ მივიჩნევ, სამი რომ დამხვდეს, კიდევ შემეშინდება, თორებ ერთი რა სახსენებელია.

როდესაც თომა ამხანავებს დაეჭირებოდა და წააქცევდა, ასე იტეოდა: მცელსაც ასე წავაქცევო.

ბევრი ხედავდენ, რომ ტრაპასობს, მაკრამ მაინც უსმენდენ.

ერთ დღლით თომამ აიღო ხელში დაფი (ბარაბანი), რომელიც ბევრი თრევით გარეა დასხველებოდა, თოფი, რომელსაც ჩახმახი დიდი სანია გაფუჭებული ჰქონდა და მხოლოდ ბუჩქებში მიძალულ ფრინვლებს აშინებდა და დაანირა სანადიროთ წასვლა. თავიდან ფეხამდის შეიარაღდა: შეილდისრით, თოფ-ხმლით, დაფით, ქუდი ბუმბულიანი დაიხურა და ნახშირით ულვაშები გაიკეთა. ერთი სიტყვით სწორედ ნაძვილ გმირს მიეგვანებოდა. თომას სანადიროთ წასასვლელათ დღეს კველაფერი ხელს უწეობდა. მსახურ ივანეს უნდა წაედო ზური დასაფუჭავათ წისქვილში, რომელიც ტეის თავში იუო, თომა დიდი სიამოვნებით წაჭება ივანეს და თან გაიძიოლა თავისი საუვარელი კარო. ძაღლი სისარულით მთელი გზა უფრდა. მიუახლოვდენ ტექს თუ არა, თომა მოჭევა მგლის მებნას.

— მცელს ემინია დაფისა? ჰყითხა ჰატარა თომამ ივანეს.

— რასაუგირველია ემინია, უჩასუსა ივანემ.

თომამ იწეო გაჩქარებით დაფის დაკვრა.

მივიღენ თუ არა წისქვილში, თომამ გამოჭკითხა მე-წისქვილეს, მგლები არიან აქეთ მხარეს თუ არაო?

— ჩვენდა საუბედუროთ არიან, სთქვა მეწისქვილემ.

წუხელისაც დაკინა, კინაღამ შეეჭამა ჩვენი ერთად-ერთი ცხენი.

— მართლად?? მაშ თქვენი ფიქრით აქეთ მხარეს ბევრი მგელი უნდა იყოს?

— მე აგრე მგონია.

— მე მინდა იმათზე ვინადირო. თუმცა არაფრიდ მი-მაჩნია, ტევები ბევრია, თუ ცოტაა მგელი, მაინც ეჯობი-ნება რომ ან ივანე და ან თქვენ გამომევეთ.

— მე რომ თქვენ ვიუო, ბატონო, მარტო წავალ, არა-ვის გავაუღლებ, უთხრა ივანებ, ნამდვილი გამარჯვება მა-შინ თქვენი იქნება.

თომაშ გააწევეტინა ლაპარაკი.

— შენ რომ გამომევე, ივანე, უფრო კარგი იქნება.

— მე არა მცალია, სჯობია მარტო წახვიდე.

— მალიან კარგი. მე მსოლოდ იმასა ვწუხვარ, რომ სამი მგელი ერთად არ დამეტაკოს, მაშინ არ ვიცი რო-გორ შევება იმათ, თორემ ორისა არ მეშინა. თითოს თითო ხელს დავავლებ და კისერს ისე მოუგრეხავ, რო-გორც ქათამს მოუგრეხენ ხოლმე.

— მე მგონია, ორი მგლის მეტი არ დაგვედეს, უო-ველთვის წევილ-წევილათ დაიარებიან, უთხრა ივანებ.

— ჩემო ივანე, უთხრა ეშმაკურათ თომაშ, მე მარტო იმისი მეშინა, რომ შესაძლოა მგელი მარჯვენა ხელი-დან დამისხლტეს და ფეხებზე მიკინოს. გამომევ, თან წამოიდე შენი დიდი ჯოხი. თუ მგელი ერთი იქნება, იმი-სი კი არ შემეშინდება. ისე წავაჭრევ, რომ შენც, გაგიკი-რდეს.

— კარგათ რომ ვიფლებით, ჭიათურან არ არი მოსა-

უვანი, რომ ორი მექლი დაგიხვდეს. გუშინ-ლამ რომ ორი მექლი მოსულიყო ცხენს შეუჭმელათ არ დაავდებდენ.

— ამისრულე თხოვნა და გამომეუვ. ეხვეწებოდა თომა, მე კი არ მეშინა, მაგრამ ჯერ ჩვეული არა ვარ მექლზე ნადირობას.

— შენ სულაც მამაცი არა უოფილსარ, ჯერ ოთხ მექლზე აპირებდი ნადირობას და ასედა ერთისაც გეშინა, სხვებმა რომ შეიტეონ, ხომ უველა ლაბარს დაგიმახებს და ღირსიც იქნები.

— სროლაში მე ვერავინ მაჯობებს, სულაც მოშიშარი არა ვარ. რასაკვირველია უფრო სასიამოვნოა, რომ ორნი ნადირობდენ, მე მინდა დამსწრე მუგანდეს, ჩემი უობალობა უველამ ნახოს.

— თუ ეგრეა, მაშ მეწისქვილის ჸატარა ქალი წაიუვანე თან. ის დაჯდება სადმე ქვაზე და გიურებს.

— არ მინდა, თქვა სწრაფად თომამ, იმას შეეშინდება. ან ვის გაუგონა, რომ გოგოებმა სანადიროთ იარონ. მე მინდა, რომ შენ წამომევე, — მკლის ტეავს გაჩუქებ, მე ჩემთვის მხოლოდ უურებს და კუდს ავიღებ.

— მადლობელი ვარ საჩუქრისთვის, ვერ წამოგევები. მე მხოლოდ ვხედავ, რომ შენ ლაბარი უოფილსარ და სხვა არაფერი.

— მაშ კარგი თუ ლაბარი უეოფილვარ — ნახავ! სთქვა გაბრაზებულმა თომამ და წავიდა ტექში.


წენარი დილა იდგა, ფრინვლები ჭიკჭიკებდენ, ჸატარა თომა ნელ-ნელა მაღიოდა და თან შემთხვევით იცქირებოდა. ჸატარა სანს უკან მოეჩვენა ვითომ სეებ შორის რაღაც იძვრის. ერთ წამს შედგა, არ იცოდა გაიქცეს, თუ



წინ წავიდეს. დაიწეო დიდი მაღით დაფუნქ დაჭრის დაკვრის დროს თან უკან უკან იწევდა.

— ჩემ ბედზე დაფი თანა მაქვს, მგელი კერ დაიძგრის, კერ გაბედავს მომეცრდეს.

თომა ახლა სწორედ იმ ბაკთან იუო, საცა ცხენი წინა დამეს დაეგლიჯათ. ამ ბაკის დანახვაზე თომა შიშის ჟარმა აიტაცა.



ვინ იცის აქ, ახლო-მახლო, რამდენი მგელია დამალული. ფიქრობს თომა,— ან როგორ გაიქცეს, სირცხვილია.

გარშემო არავინა ჩნდა, რომ გაჭირვების დროს ეძღვ-  
ლა ამისთვის.

— მიუიღბენ როგორმე სახლამდის და იქ ვიტყვი, რომ  
მტელს შევსტაკე მეთქი.

თომაშ დაირცხვინა ტეუილის თქმა, დაჩვეული არ იყო  
და მიუკანოვდა თამამად ბაკს. მაგრამ ნახა თუ არა და-  
გლეჯილი ცხენის სისხლით მოსვრილი ბალახი, თავიდან  
ფეხამდის აქრეოლდა და შიშით გაიქცა, თან მოუხშირა და-  
ფის დაკვრას. ტე იმეორებდა დაფის ჰმას და ამას მგლე-  
ბის ღმუილათ, შემოესმა.

„წასდა ჩემი საქმე“, იყიდვრა თომაშ. სწორედ ამ დოკს  
თვალი მოჰქმდა გაბურებულ დიდ თავს. ეს იუო და ეს.  
შეძის ზარმა თომას დააგრევინა ხელიდან დაფიც, თოვიც,  
შვილდ-ისარიც და ბავშვა მოჰქმურცხლა წისქვილისკენ. სა-  
ქმე ამითი კიდევ არ გათავდა. მგელი აედევნა, ფეხ-და-ფეხ  
მისდევდა. მისი სუნთქვაც კი ესმოდა. საბრაზო თომა  
შეძით ლამის გაგიუდეს, სწრაფად თხრილებზე გადახტა,  
სიჩქარით მიწას ფეხებს არ აკარებდა. ბოლოს ერთ დიდ  
ქვას წიმოჰქმდა ფეხი, ისე ძალიან დაეცა, რომ ვეღარ წა-  
მოდგა. მდევარმა მკელმა თომას ზედ გადურბინა, ბავშვი  
თოვქოს აღარ სუნთქვდა, მკვდარს დაემკვავსა.

ნუ შეგვინდებათ, პატარა მკითხველო, თომას არა  
დაუშავდა-რა, მცელი საშიში არ იყო, დაუწევო თომას  
ლოპა და ალექსი.

თომაშ დასცა კიუინა, ოოგორც კი შეიძლო ხმის ამო-  
ღება.



წისქვილში გაიგეს უვირილი და ივანებ მოირბინა.

— რა დაგემართა, უმარტვილო, უთხრა ივანებ თომას აუკენების ღროს.

— მცელია, მიშველე, მცელია! წამოიძახა თომამ.

— რა მოგეჩენა, სად არი მცელი, მისი კედლიც არა ჩანს, უთხრა ივანებ.

— უფოთხილდი, სულ ახლოს არის, კინაღამ შემჭამა.

ივანებ დაიწეო საძინლად სიცილი.

— მაშ გგონია, რომ მცელი აგედენა? შეხედე კარგა, ვის ებრძოდი, იქნება იცნო, ეს ჩვენი კართა, გაუგია შენი დაფის ხმა უთუოდ და გამოგდევნებია. კარომ რომ შენისთანა გმირი შეაშინა, სირცხვალათ არა კმარა?

თომამ დაიწეო სიხარულით ტირილი.

— ჩემო კარო, რა უბედურება იქნებოდა, რომ შეცდომით მომეკალი.

— შენ მგონია, თომავ, არ იშლი ტრაპაზობას, ის კი არ იცი, რომ ნამდვილი საქებური კაცი თავის დღეში თავს არ იქებს.

### თომა დაქებს სიმდიდოეს

ერთ ტეის თავში იდგა ჰატარა ქოხი, რომელშიაც ცხოვრებდენ ღარიბი ცოლ-ქმარი. ახალგაზდობაში კაცი მხნე მსედარი იქო და ქალი ლამაზი და მუშა დედა-კაცი. ახლა ორივე დაბერდენ, დაჭაღარავდენ, ჯანი შემოელიათ და სიბერით ვეღარც კი დადიოდენ.

კაცს სახლის წინ ჰატარა ბოსტანი ჭიქონდა და იქ ცოტ-ცოტად მუშაობდა, ხოლო ზოგჯერ წავიდოდა ტექში შერთხის მოსაკლავათ; ცოლი კი აგროვებდა ტექში

ნაძვის ბურმეს ცეცხლის მოსაკიდებლათ და მოჰქონდა იქიდან არეის ტოტები, ამისაგან ჭერავდა ცოცხებს და ჭერავდა ქალაქ ადგილებში. იმ ფულით უიდულობდა თავიანთვის უავას და ქმრისთვის კიდევ თამბაქოს. მალიან კეთილი ადამიანები იუგენ, შველოდენ თავიანთზე ღარიბებს და ამიტომაც უველას უევარდათ და პატივს სცემდენ. ბევრნი ამბობდენ, რომ ამ მოხუცებულმა კაცმა იცის, თუ ტექში საცაა საზინა (სიმდიდრე) ჩაფლული და იმის მეტს არავის შეუძლია ამ სიმდიდრის პოვნაო.

ზოგჯერ კარს მიაღებოდენ წერაქვებით და ლომებით და სთხოვდენ გვიჩვენე ის ადგილით. მოხუცებული ამის პასუსად ერთსა და იმავეს ამბობდა: სიმდიდრე უველას ეპუთვნის, უწერაქვოთ და ულომოთაც შეიძლება იმისი პოვნა . ამის ლაპარაკი ვერ გაეგოთ, მაგრამ უველა დარწმუნებული იყო, რომ ამან იცის, საცაა სიმდიდრე და არავის ეუბნებაო.

ივანე, თომას დედ-მამის ერთგული მსახური, მალიან ცრუმორწმუნე კაცი იყო. ერთხელ იმან უამბო თომას, რომ ტექში ზოგჯერ პატარა სნობით გამოჩნდება დიდი ცეცხლი და სწორედ იმ ადგილას არის ჩაფლული სავსე ოქროთი ქისა. მისი ბინა იცის მხოლოდ ერთმა ღარიბმა კაცმა და ამ სიმდიდრის პოვნა მალიან მნელია.

თომა დიდი უურადღებით ისმენდა. ეს სიტევები გულში ჩაუვარდა და არ იცოდა, როგორ ექვენა ეს სიმდიდრე.

ბოლოს წამოიძახა:

— რა უნდა ვუურ ნაპოვნ ფულს? მამას ხომ არ მიკაბარებ შესანახავად?

— როდესაც ფულს იჩოვი, მისი შენახვა ადვილი  
იქნება — უთხრა ივანებ. საქმე იმაშია, სიძლიდორე იჩოვო.

— მაგისი ნუ გემინან, მე ისეთი დონე მაქსი, რომ  
ეგელას შევიძლებ. მე ვიცი, იმ კაცს როგორ გაჩვენებინო  
ჩაფლული სიძლიდორე. ფულს მამას მივაბარებ, სანამ გავი-  
ზრდებოდე. მერე მაგ ფულით რა საოცარ რამებს გავა-  
კეთებ. სასახლეს ავიგებ სულ ვერცხლის კედლებით და  
ოქროს კარებებით და ეველანი შიგ დავდგებით. შენთვი-  
საც, ივანევ, კარ თოახს გაგიკეთებინებ, შვენიერ ეტლს და  
ცხენებს გავიჩენ. ცხენებს ალგირ-უზანვი ოქროსი ქნება  
და უნაგირი ოქრო-მყედით მოქარგული. ეტლს მე თითონ  
ვატარებ. შენ ზედამსედველად უკან იჯდები, გავიჩენ ნა-  
ვებს და ხომალდებს. ოქროს მარხილი მექნება და საუ-  
ცხოვო თხილამურები. ნამდვილად კარ თოვს გავიჩენ...

— და მაშინ ნამდვილ მგლებს მოჰყვლავ, განა? უთხრა  
დაცინვით, ივანებ.

— რასაკვირველია, სთქვა მორცხვათ თომაშ. მაშინ  
დათვისაც აღარ შემემინდება.

— აი, შე ტრაბასავ! სთქვა ივანებ და განაგრძო: —  
ფული მაინც კიდევ ბევრი დაგრჩება, ურიგო არ იქნება  
სხვებზედაც იფიქრო, იმისთანა სახლები ააშენო, რომ და-  
რიბების საქადრისი იული, მაგალითად, იმ დარიბ ცოლ-  
ქმარს აუშენოთ, რომელთა წეალობითაც აპირებ ხაზინის  
პოვნას. მროხაც რომ უეიდო, ჩასაცმელ-დასახურავიც  
რომ მისცე, ისინი დირსნი იქნებიან.

— კარგათ მომაგონე, ივანევ, მე ეგ თავში არ

მომივიდა. მე თითონ აუშენებ სახლს. პროსასაც ვუჟიდი ჩავაცმევ, დავხურავ კიდეც.

— საქმე ის არის, რომ ფული კი არსად ჩანს, უთხრა იგანებ.

— ეგ არაფერია. ფულს დღეს ხვალ სელში ვიგდებ. მოდი, წავიდეთ ტექში და ის მოხუცებულიც თან წავიუვანთ სწორედ იმ დროს ცეცხლი რომ გამოხნდეს და რაკი სამნი ვიქნებით...

— ხომ იცი რომ მე არასოდეს არა მცალია უთხრა იგანებ — და გიჯობს კიდეც, რომ მარტო იძოვო და წავიდა იგანე თავის საქმეზე.

იმ სადამოს თომა და მეწისქვილეს პატარა ქალი დასეირნობდებ ერთად. თომა მეტად ჩაფიქრებული იყო, არ იცოდა ამ სადამოს ნახავს ცეცხლს თუ არა. ამ დროს უცებ დაინახა ხეებსა და ხეებ შეა წითელი ცეცხლი.

— კგამლი არა აქვს, უთუოდ ეს ის სასწაულის ცეცხლია. მერე მიუბრუნდა მეწისქვილეს ქალს და უთხრა: — ვერ წამომევები იმ მოხუცებულ კაცთან, რომელიც ტექში ცხოვრობს? მე გზას ვერ გავიგნებ.

თომას ემინოდა მარტო ტექში გავლა და ტექშილი თქვა.

— რატომ? კარებამდის მიგაცილებ, უთხრა პატარა ქალმა, — იქ კი არ შემოვალ, რადგან დედა მიმელის. შეწუხდება რომ სახლში მისვლა დამიგვიანდეს.

ორივენი სირბილით წავიდენ და ნახევარ საათში მიაწეოს ქოხს. მეწისქვილეს ქალი მაშინვე ვამოეთსოვა.

თომა თამამად შევიდა ქოხში და როდესაც დაინახა.



რომ მოხუცებული დინჯად უკითხავს ცოლს წიგნს შერ-ცხვა.

მერე მოიგროვა ღონე და ოქვა:

— არ გინახავთ, ბატონო, ტექში ცეცხლი?

მოხუცებულმა აიღო მაღლა თავი და გაკვირვებით უთხრა:

— შეუძლებელია, რომ ტექში ცეცხლი იურს! მარ-თალს ამბობთ?

— რასაკვირველია, მართალია — უთხრა თამამად თო-მამ, გამობმანდით, შორს არ მოგიხდებათ წასვლა. ცეც-ხლი აქვე ახლო არი.

— რაკი აგრე მარწმუნებთ, წამოვალ.

პატარა გაიარეს თუ არა, შორიდან დაინასეს გორა-კის უკან დიდი ცეცხლის ბურთი.

— ეს ხომ სრული მთვარეა, ჩემო კარგი! ჩემამდის იმიტომ მოირბინე, რომ მთვარე გეზვენებინა, უთხრა სი-ცილით მოხუცებულმა.

— უბრალო მთვარე არ გახლავთ, ეგ სასწაულის მთვარეა.

— რა არი სასწაულის მთვარე.

— რა და — ცეცხლია უკომლო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცეცხლ ქვეშ ხახინაა ჩაფლული.

— ახლა კი ვხედავ, რომ მართალი უოფილხარ. მთვა-რე არის უოველი სიმდიდრის მაჩვენებელი. — უთხრა მოხუ-ცებულმა, — მთვარე, როგორც მსე უნათებს მშრომელებს. შრომა უძაგრებს კაცს სულსა და ხორცს და ამითი გშო-ულობთ სიმდიდრეს.

თომა ჯერ უგდებდა უურს და მერე მოუჭრა ლაპარაკი.

— მაინც მითხარ, სად არი ჩაფლული სიძლიდრე. შენც პატარა სახლს აგიძენებ, როდესაც კავშირიდრები და რასაც მთხოვ, ეკელაფერს მოგცემ.

— კარგი, მაშ მე გიჩვენებ საცაა სიძლიდოჲ. შორს  
არ მოგვიხდება წასვლა და თომა შეიუებანა თავის ქოხში.

յմթ՞չուլմա ջանի՞յշ ռտանես քաղցալույրեծա, Տօդարու-  
նես մյուս ռտանմու առա մռհանջա-ռա. մյու յրտօնամատ ծնյալ  
կշնչյալմու ջանեսա, ռոմ ռաջաց ծրկյալույրեծա. յէ, յէ  
առո յըռես, ռոմ Տօմուջույս մայնու, մաշրամ աելոս, ռոմ  
միջուդա ուրոմյ ծյօնյու յաբյու յաբյու ծրկյալույրեծա.

თომაშ მოუთმენლად წამოიძახა:

— ბერე აქ სიმდიდორე სად არი?

— ჩემი სიმდიდრე — ჩემი კეთილი გულია, უთხოა მო-  
ხუცხს.

დარცხვენილმა ოომამ გასწია სახლისშექნ.

፳፭. ወ. —፩—፩፭፻፯.

## ს ს პ ი ლ ი დ ა მ ი ს.



სკილმა ერთხელ დაცინვის  
ქილოთი უთხრა იასა:  
შიწას ვერ ასცილებიხარ  
და ჰეევხარ სწორედ ჭიასა.  
რას ვაქჩევ შენსა სიტურფეს,  
სინაზეს—სინარნარესა,  
თუ ვერ მოჰქიბლავ ბულბულსა,  
ცაზე ვარსკელავს და მთვარესა.  
რად იმალები ბუჩქებში,  
თითქოს გამწყრალი, მტირალი,  
რად არ ხარ ჩემებრ ამაყი  
და მედიდურად მზირალი.  
აი, მე ჩემი სინაზით,

სუნელებით და ფერითა,  
ლამის მოვქანცო ბულბული,  
გულ-ამოსკვნილი მღერითა.  
ხალხი მეძახის მინდერის ვარდს,  
ფუტკრებიც მთელიან ვარდებში...  
იამ მიუგო: დობილო,  
ნუ ჰფრინავ მალალ ფარდებში.  
ვისაც შენ ვარდი ჰეონიხარ,  
ისინი მუდამ ცდებიან;  
ან რომ მოდიან ფუტკრები  
მითხარი რასა გრჩებიან?  
და არც შენ დაგყეფს ბულბული,  
ნამდვილ ვარდს ეტრფიალება,

მის ეშვეზე აჰყაეს ცაში ხმა  
 და მისგან გაიმსჭვალება.  
 შენა ხარ დედის-ნაცვალი  
 მხოლოდ ვარდების გვარისა,  
 და უსარგებლო ყვაეილი,  
 როგორც მთის, ისე ბარისა...  
 ამ ღროს სამყურა ბალახმა  
 მოსძახა: ნაზო იაო,  
 ნეტავ შენ სალაპარაკოდ,  
 ასკილთან! მოგიცლიაო!  
 რა ხანი არის ფუტკარი  
 შორიდან შემოგცერია,  
 სათაფლე წვენსა თხოულობს  
 დაუღალავი მწერია.  
 ნუ აცდენ, მიეც რასაც გთხოეს,  
 გადაუშალე მას გული  
 ვარდთანაც უნდა მივიდეს,  
 ისწრაფეის გამალებული,  
 თორემ ვერ მოღლი ასკილსა,  
 ეგ სულ ეგეთი ყბედია.  
 ხომ ნახე ფუტკარს მაგისთვის  
 ზედაც არ შეუქედია.  
 აგერ ბალლებიც სოფლიდან  
 მოდიან შენკენ წყობათა,  
 უნდა წაგილონ ობოლის  
 საფლავის შესამკობათა,  
 თან მოაქვთ წყალი სურითა  
 და პაწაწინა კალათა,  
 რომ მიგიტანონ იქმდის  
 სეული, ფერ-შეუმკრთალათა.

შ. მღვიმელი

## ପ୍ରମାଣେନା.

(ଜମାଙ୍କଳ)

## I



ଓଦି ଦାର୍ଢାକ୍ଷି ସତ୍ୟମର୍ଯ୍ୟବିତ ସାହେବୀରା. ଯୁଗେଲାନ୍ତି ମହାରାଜୁଙ୍ଗିର  
ଆଖିରାନ. ସତ୍ୟମର୍ଯ୍ୟବିତ ମହାରାଜୀ ମାତ୍ରିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଦାର୍ଢିର ଐତିହ୍ୟବିତ,  
ଯୁଗେଲାଶ ଉପିନିର୍ବାଦି, ଯୁଗେଲାଶ ସାମନ୍ଦରିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଯୁଗେଲାରେବା.

— ହା ତ୍ରୈମା ଉଚ୍ଛଵା, ନାହାନ୍ତିର୍ବ୍ୟବିତ ଦେଖିରୀ ଘେର୍ଯ୍ୟବା ଫଳେ  
ଶାଳିଲାଦ! ଉତ୍କର୍ଷ ମାତ୍ର ଏତିତମା ଆଶିଶବ୍ଦିର ଯୁମାର୍ଥିଲମା ନାନ-  
ଗର୍ଭଦିଲିଯ ଲାକାରୀକୁ ଶେମଧ୍ୟେ.

— ଶେନ୍ଦୁ ଏହି ମନମିକ୍ୟଦ୍ୱୟ, ଯୁଦ୍ଧାବ୍ୟବିତ ମାନ, ମନ୍ତ୍ରେଣି ମନା ଦା ଦାର୍ଢି ଶ୍ରଦ୍ଧାର୍ଥୀବିନ୍ଦୁ,  
ମାତ୍ରାମ ବ୍ୟରାଟ୍ୟେରୀ ମିଶିଲେବୁ. ଫଳେଶ, କନ୍ଦମାର୍ଗି ନ୍ୟୂନ,  
ନ୍ୟମେଶ ଏତିକି କନ୍ଦରୀ \*) ଦ୍ଵାପାକିରା ହେବି ମଦିନାର୍ଥୀଶି... କାର୍ଯ୍ୟ କନ୍ଦରୀ  
କି ଆଖିର ଶିଖାର୍ଥୀତ, ତ୍ରୈମାଲୀ ଯୁଗେତ୍ୟେଶ କେବି ନାହେବ!

— ତାମ ତାମ, ମାତ୍ର ଫଳେଶ କନ୍ଦରୀର ତାମେ ଘେର୍ଯ୍ୟବା, କାର୍ଯ୍ୟ ନାନିର  
ନ୍ୟେଲାଦି ତ୍ରୈମାଲୀ ଏହି ମିକାମି! ଯୁମାର୍ଥିଲମାର୍ଥିବିତ, ଯୁତ୍କର୍ଷ ମାନ ତାମେର ମେଘକନ୍ଦର୍ଯ୍ୟବିତ  
ଅମିଶ ନ୍ୟମେଶ ଫଳେଶ ହେବି ମଦିନାର୍ଥୀଶି କନ୍ଦରୀ ଦ୍ଵାପାକିରାକୁ.

— ତୁ ପୁଣ୍ୟିଲା କେବେବା! ମାତ୍ରିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଏତିତମା. ଏହି କନ୍ଦରୀର କନ୍ଦମାର୍ଗ  
ଦ୍ୱାପାକିରାକୁ! ଏହି ତ୍ରୈମାଲୀ ଏହି କନ୍ଦରୀକୁ ଦ୍ୱାପାକିରାକୁ!

— ମାତ୍ରାମ କି ଏହି ଦିନିରା, ମେ ଦା ହେମିମା ଲମ୍ବରିତମା, ଏବା, ନାକେତ ଶା-  
ଳିଲାଦ କନ୍ଦମା ମନ୍ଦରିତମିରେତ!

— କାର୍ଯ୍ୟ କି! ମାତ୍ରିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଯୁମାର୍ଥିଲମା ଦା ଏହିକିମେନ୍ଦ୍ରି ଗାମନ୍ଦେଇନ.

## II

ଶାମିଶାର୍ଯ୍ୟଲାଦି ଦ୍ୱାପାକିରାକୁ ଯୁଗେତ୍ୟେ ଫଳେଶ ରିଯ୍ରାଜ୍ୟିଦାନ ଶ୍ରୀଲ  
ମହାଦେବାଶି ଆଖିରାନ. ମନ୍ଦିରମୁଖୀକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ପଦିଲାମର୍ଯ୍ୟବିତ ତାମେର ତାମେ ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠ-  
କ୍ରେମିନଂକ ଦା ଦାତ୍ମନିଶାତ୍ର ଶାକ୍ରିଲାଦ ଏହି ଗ୍ରାମକିନ୍ଦ୍ରୟବିତ. ଦାର୍ଢାକ୍ଷିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଯୁଗେଲା-  
ଯୁଗେରୀ ତ୍ରୈମାଲୀ ଯୁଗେରୀ ଏହିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଦା କନ୍ଦମାର୍ଗ ଦାର୍ଢାକ୍ଷିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଏହିକିନ୍ଦ୍ରୟବିତ...  
ଶାଳିଲାଦ ତ୍ରୈମାଲୀ ତିର୍ଯ୍ୟକିନ୍ଦ୍ରୟବିତ ଯୁଗେଲାଯୁଗେରୀ ମହାଦ ଆଖିର, ମହାନାନ୍ଦ ଏତିକି  
କନ୍ଦରୀ ଏହି ଗ୍ରାମକିନ୍ଦ୍ରୟବିତିରାତ, ଏହି କନ୍ଦରୀ, କନ୍ଦମାର୍ଗ କନ୍ଦମାର୍ଗ ତାମେର

\*) କନ୍ଦରୀ-ତ୍ରୈମାଲୀ.

მზარეულს აი რა უთხრა: თუ მასახელებ და კარგად გააკეთებდე ამ კობრის, შენი პატივისცემა მე ვიცი, თუ წაახდინე მაშინ კი მე და შენ ავიშლებითო. კობრის თავი ცალკე გააკეთე და ზეღმეტი ყურადღებაც მას მიაქციეთ. მზარეულიც მონაბეჭდულია.

— ერთი ეს კობრი ისე კარგად უჩდა გავაკეთო, რომ სტუმარ-მასპინძელმა ყველაზ თითო ჩაიკვნიტოს ამის ჭამაზედო. ფიქრობს ის თავის გუნებაში.

კობრი ქვაბით ცეცხლზე შემოჰკიდა და თეითონაც იქვე მოუჯდა. ჯერ სურდა ის მოეხარშა და მერმე ჩაესაცივებინა.

### III

მის პირ-და-პირ ცეცხლის პირას ერთი სულიერი წამოწოლილყო. თვალები დაეხუჭა, სულისთქმა შეეწყვეტა და მთლად მიმკვდარებულიყო, გეკონებოდათ ამ სოფელს გამოთხოვებით, ეს გახლდათ ბაეშების საყვარელი კატა—ციცუნია.

მერმე რა დაემართა მას? რამ დააწვინა ამ სიცხეში ცეცხლის პირს? რამ შეაწყვეტინა სულისთქმა? იქნება ავად არის! იქნება გააცივა, ან გააცხელა? დიალ, ციცუნია ავად არის, მას კი დეც გააცხელა და კიდეც გააცივა. დღეს დილას რომ თევზის სუნი იკრა, იმის მერმე ის თავის ჭკუაზე აღარ არის. სულ თევზი ელანდება, თევზი ახსოეს, თევზზე ფიქრობს. ჰსურს ორიოდე ლუქმა მაინც იხელოთოს. მაგრამ რა ნაირად? ციცუნია ეშმაკია, ციცუნია ოსტატია ციცუნა პირმოთნეა და პირმოთნეობით ქვეყანაზე რა არ გაკეთდება! ისიც დარწმუნებულია, რომ ცდა ამაოდ არ გაუცლის და ახლა ეს არის, უყარაულებს, უდარაჯებს, ის ცეცხლის პირას წამოწოლილა, თვალები დაუხუჭავს, ძილს იგონებს და ისე კარგად იგონებს, რომ თვალთმაქცობაში მას ადამიანი სად შეედრება! ყველა დარწმუნებულია, ციცუნის მართლა სძინაესო და ამიტომ მას არც რაიმე ყურადღებას აქცევენ. ციცუნიაც არ ინძრება. მხოლოდ ხან-და-ხან ცალი თვალის წარბას ზევით ასწევს, გაიჭრეტავს უცებ ქვაბისკენ და იმ წუთშივე თვალს დახუჭავს. მის გულში ძლიერი მღელვარებაა, საშინელი გრძნობათა ბრძოლაა და გარეთ კი არაფერი არ სჩანს. გაიარა თითქმის ნახევარმა საათმა, ციცუნია დიდ განსაცდელშია. ბევრი ტანჯვა, ბევრი გულისკენესა გამოიარა და ჯერ თევზი თვალითაც არ დაუნახავს. ჯერ მხოლოდ სუნს გრძნობს. ავერ წყალიც

ახეარხეალდა აღულებული წყლის ნაშეფები იქით აქეთ გადაწვევთენ. ერთი ნაწევთი ციცუნიას ლამაზ ტუჩისაც დაეცა. კატა შეკრთა, ტუჩი საშინლად ემწვევა. ჰა, კინალამ წამოვარდა, მაგრამ მოითმინა, შეჩერდა და მხოლოდ თავის თეორი ულვაში და ცალი ბაგე ცოტათი შეათამაშა. გაახილა ცალი თვალი და რა დაინახა! თევზის ერთ ნაჭერს ქვაბში თავი ამოუყვია. ციცუნიას ესიამოენა, იამა, გაელიმა. გული გაუმსუბუქდა, თვალში წყალი მოერია, ყელში ნერწყეი გაეხირა, განაბული იყო და კიდევ უფრო გაინაბა. მაგრამ უცებ მზარეულმა თევზს კოვზი დაურია და ის ერთი ნაჭერიც წყალში ჩამალა. ციცუნია დანაღვლიანდა მოიღუშა. ისარივით მოხვდა მის გულს ეს მოულოდნელი ცელილება. „ფუჟ—რა საზიზლარი მზარეულია!“ გაიფიქრა მან. მაგრამ ეს ფიქრიც მალე შესწყდა. ქვაბში კობრის თავი გამოაჩნდა. ციცუნიას ენაზე ნერწყეი მოადგა მთლად დადნა და სურეილად გადაიქცა. ახლა კი ველარ მოითმინა; წამოდგა თუმცა კი ნელ-ნელა.

— ჰავა, დაუძახა მას მზარეულმა... მეხი რომ დასცემოდა ციცუნიას, ის ურჩევნოდა ამ შემოძახების გაფონებას. მას წელი მოწყდა, ნახევარი სიცოცხლე დაკლდა, მთელი, ამდენ ხანს გამოვლილი ბელნიერება წამწარდა. მან ერთი დალონებულად დაიკავდა და ვითომც მზარეულის ხმა არც კი გაუგონია, ისე მოშორდა იმ ადგილს და იქვე მახლობლად სკამლოგინზე აბრძანდა, ციცუნიას კნავილს მისმა კნუტებმა პასუხი გასცეს, დაუძახეს: მოდი ერთი ძუძუ მოგვაწოვე, დილას აქეთ არაფური გვიჭამიაო! მაგრამ ციცუნიას განაშეილებისათვის ახლა სცალია? მას ჰსურს თევზი იხელთოს, თევზი მოიტაცოს, აი, რამ ჩაყლაპა მთლად მისი არსება.

მზარეულმა ქვაბი ძირს ჩამოდგა. იქიდან თევზის ნაჭრები ამოალაგა. კობრის თავი ცალკე თეფუზე დასდო და შორიახლო მოიდგა. ციცუნიას გული გაუნათლდა. იგრძნო მან ამ ქვეყნიური ნეტარება იმედი გაუორკეცდა. თუ მოსახერხებელია, ახლა კი მოახერხებს ერთი ნახტომი რომ ქნას თევზი მის პრჟყალებში მოხვეჯება; მაგრამ ციცუნია მზარეულს უყურებს და გული უსკდება. გაიარა ერთმა წამია ციცუნიასთვის მთელი საუკუნეა. მზარეული არ ინძრება. თევზს ოშეივარი ასდის და ციცუნიას გულს ძალაუნებურად იზიდავს. გადის მეორე წამი—ციცუნია სწუხს, წვალობს, ჯოჯოხეთურ ტანჯვას გრძნობს, მაგრამ გარედან მას მაინც არაფერი ეტყობა. ჰე, რაც მოხ-

დეს, მოხდეს, გაიფიქრა ციცუნიამ და ტანშიც გააზმორა, ერთი წა-  
მი კიდევ, ის ისკუპებს და კობრის თავიც მისია.

## IV

— ბიჭი! მოისმა სასახლის აიგიდან ბატონის ხმა. მზარეული  
წამოვარდა და კარებთან მიდგა.—რა გნებავს ბატონი. უპასუხა.

— ერთი კობრის თავი გამოგვიტანე აქ და გვაჩვენე! უბრძანა  
ბატონმა.

ახლავე ბატონი! დაიძახა მან და თან უკან შემოტრიალდა. და-  
ავლო თევზს ხელი და მიაქეს. ხელში ემჩატა. უყურებს, აჩერდება  
და თვალებს არ უჯერებს. თევზი ცარიელია., გაიხედ-გამოიხედა,  
იქნება ეინშე აიღოო, მაგრამ მახლობლად არაენ ჩნდა. უცებ ერთ-  
მა ფიქრმა გაუელეა; თან კატა გაახსენდა, რომელიც მოტრიალდა  
თუ არა, დაინახა რომ კარებში გავარდა.—ვაიმე ეს რა დამემართაო  
დაიყვირა მან და იქითკენ გაიქცა. მაგრამ გვიანდა. კატა თავის  
ძეირფასი ტეირთით ბარდ-ეკალისკენ მირბოდა.

## V

მირბის ციცუნია. უკან მისდღიერ ბაეშები და ქვებს ესერიან. ციცუნია უურებსაც არ აპარტყუნებს. ჰა, ესეც არის ბარდ-ეკალსაც  
დაუახლოედა. რამდენიმე ნახტომი კიდევ და ის მიუდგომელ ცი-  
ხეში გაჩნდება. მაგრამ დახეთ უბედურებას! მას ამ დროს ძალლი და-  
ეწია. ძალლი და ციცუნია დიდი მეგობრები იყვენ, მაგრამ ასეთ  
შემთხვევაში კი ალარ. ციცუნია შეჩერდა, თევზი იქვე დასდო და  
ძალლისკენ მობრუნდა. კუდი წამოპრიხა, ბეწვი აიბურძნა, ულვა-  
შები დალურსა, თვალები ცეცხლიერ ანთო და ძალლს შეუფხუ-  
ტუნა. ამ გულკეთილ ცხოველს ცოტა არ იყოს კიდეც შეეშინდა  
ასეთი ოინებისა, ისიც შეჩერდა, დაუყეფა მხოლოდ, და თან უკან  
მოიხედა, თუ ვინმე მორბის აქეთო. ციცუნიამ ამით ისარგებლა.  
დაულო პირი თევზს და ეკალში შეძერა...

## VI

ସାଦିଲ୍ଲି ଗାତାଯାଇଲା. „ମରୁଆଳ-ୟାମିଗୁହିଲି“ କେବା ଶିଖିଲି ଗାଇଲିଲା.... ଯମର୍ଥିକିଲ୍ଲେବରୀ ହାମନିଲ୍ଲେ କ୍ଷେତ୍ରିକିଲାନ ମାସପିନ୍ଦିଲିଲି ତରଫେବି ଲା ଗୁରୁତମା-ନେରିଲା ନିଦିଲାନିବା ଲାଉଠୁପ୍ରେସ, ହରମେଲି ଉତ୍ତରିକ କାରୁଗାର ମନ୍ଦ୍ୟାକ୍ଷେତ୍ରରେବତ ନିଶାନ୍ତିଲିଲା....

— ମାମାୟ; ମାମାୟ, ଲାଇକା ଉପ୍ରେବ କାରୁକା ତାମିରନମ, ଏଣ ପିପୁନିରା, ଏହାହୁଁ!

ମାରୁତିଲାପ ଦାରଦାଶିଲାନ ଆଇବାନ୍ତିରେ କାରୁକା ଗାମିଲ୍ଲେବିଲା. ଏଣ ଲିନ୍ଧୁଜାର ମନ-  
ଧିଲାଦା, ବିତାମିପ ଆରାପ୍ରେରିଲା ଏଣ ଏରିଲି ଲାନାଶାଖୁଲିଲା.

ଗାମିଲ୍ଲେବିଲିଲାତାନାପ୍ରେ ଏଣ ପାତ୍ରା ଶେଖିଲାଦା. ଏଣିଲା ପାଲି ଢିନା ତାତି  
ଲାଇଲ୍ଲେଲା ଏହିତ ଲା ମେରିମେ ତୁମିରିଚେ ମନୀଲ୍ଲେବା. ଏହିପ୍ରେ ଗାମିଲ୍ଲେବିଲା ମେରିଲ୍ଲେ  
ତାତିଲାପ. ମେରିମେ ଦାଖିଲା ଉପାନା ଝେକେବକ୍ଷେତ ଲା ନାହିଁ ତାତେବି ନାହିଁ  
ଲେଖିଲ୍ଲେ ତୁମିରିଚେ ହିଂସା-ହିଂସା ମନୀଲ୍ଲେବା. ଲିନ୍ଧୁକେତ କିରିଲି ପାନିଲ୍ଲେ ଗ୍ରେଗନ୍ଜ-  
ବିଲାଦା, ଲୁହିଲି ତାହିଲି ଲାମିଶି ତାହିଲି କିଲାଇ ଉତ୍ତରିକ ଗାଇଲାମିକିଲିଲା. ମାସ  
ଶେମିଦେଇ ମାନ ନେଲା-ନେଲା ଗାଇରା ଆଇବାନ୍ତିରେ ଲା କିବେଳେ ଲାଏଶ୍ଵା.

— ଏବା, ଯମର୍ଥିକିଲ୍ଲେବିଲା, ଏଣ କାରି ମାମାପ୍ରି, ଲାଇକା ମାସପିନ୍ଦିଲ୍ଲେମା, ଏବା-  
ବିନ ମନ୍ଦିରିଲ୍ଲେବିଲା ନମ କାରୁସ କ୍ଷେତରିନ ଏହିତି ଶରୀଲିଲିଲା!

— ଏହି ମନ୍ଦିରିଲାତ, ଏହି ମନ୍ଦିରିଲାତ! ଶେମିପ୍ରେରିଲା ତାମିରନମ, ଲାଏଶ୍ଵା କା-  
ରୁଶ, ଗୁଲିଶି ହାତଖରୁଶ, ଲା ମିତ ଗାଲାରହିନା ତାହିଲି ସାଧ୍ୟାର୍ଥେଲି ପିପୁ-  
ନିରା ସିକ୍ରିଦିଲି.

କାରତ୍ତେନ ଗଣତ୍ତ୍ଵା

## პრეზენტი



ოგორც ეველა ფინია,  
 დიდეული, თავმომწონე  
 იქო კრუზო, თუმც სულაც  
 არ შესწევდა მალ-ოონე;  
 იმის ეეფას და წაწენს  
 არ ჰქონდა დასასრული.  
 ხან ვის მიგარდებოდა,  
 ხან ვის გაანჩხლებული!  
 ერთხელ თვალი მოჰყრა მან,  
 ეზოს გარედ გასულმა,  
 უცხო ნაგაზს და ეეფა  
 დაუწეო გულმოსულმა.  
 მაღლმა ჯერ ხმა არ გასცა,  
 როგორც სუსტს მოუთმინა,  
 მაგრამ მერე გაბრაზდა  
 და ისეთი უკბინა,  
 რომ კრუზო დიდხანს ეგდო  
 უგონო და ცოცხალი;  
 თუმც გადარჩა, საშინლად  
 დასასიჩრდა საწეალი!...

დუტი შეგრული

## უმღიერესი სიყვარული მოყვასისა

(წმიდათა ცხოვრებიდან)



მიდა ფილარეტს ღრმადა ჰქონდა გულში დამარსული მაცხოვრის მცნება, მოეგასის სიუვარულისა და მთლიან გადაგებული იუო გაჭირებულებზე.) დედ-მამისაგან დიდი სიძირე დარჩა, თვითონაც მეტათ გამრჯელი იუო; მაგრამ ისეთი უხვი გაცემა იცოდა თავისის სარჩო-საბადებელისა, რომ ბოლოს სრულიად გაღატაკდა. აღარაფერი გააჩნდა თავის ბედზედ, გარდა მველის ქოხისა და უბრალო ტანისამოსისა.

ერთხელ მეტად ცივი ზამთარი იდგა. ფილარეტთან მივიდა ერთი მათხოვარი, რომელსაც დაფხრეწილი ჩოსიდგან ბევრს აღგილას უჩნდა ტიტველა ხორცი, დაღურჯებული ეინვისაგან. ფილარეტს სიბრალულით აევსო გული, იმ წამსვე გაიშადა თავისი ერთად ერთი ჟერანგი, ჩააცემა გლახაკსა და თვითონ დარჩა მველის ტანისამოსის ამარა.


გავიდა რავდენიმე ხანი. დაღამდა ახალი წლის წინა დღე. მუაღაძე გადასულიერ. სამინელი ეინვა იდგა. ეკელა მცხოვრები ღრმა მილს მიეცნ. არ ეძინა მხოლოდ ფილარეტსა. იგი მოწიწერდო იუო დაჩოქილი ლეთის მშობ-

ლის ხატის წინა და მდუღარე ცრემლით ევერებოდა უფალსა. იგი შესთხოვდა, რათა ცისა და ქვეუნის გამჩენს ახალი წლის განმავლობაში მომეტებული მოწეალება მოე-ლო ქვეუნაზე, მეტი შვება და ლხენა მიეცა ადამიანის-თვის და უფრო მეტად შეეგარებინა მათვის ერთმანეთი-ცა და თვით იგი, უფალიცა. უცებ ფილარეტის სადგურის კარები ვიდამაც დაარაკუნა. ფილარეტი ისე იუო გატაცე-ბული მხურვალე ლოცვითა, რომ ვერა გაიგო რა. მალე უფრო ძლიერი რაკუნი გაისმა. ფილარეტმა შესწევიტა თა-ვისი ლოცვა, კარი გაუღო დამის მოულოდნელს სტუ-მარსა და თავისთან შეიწვია. უცნაური სტუმარი გამოდგა სნეული გლახა, რომელიც თავით ფეხებამდე კეთროვნების წელულებით იუო შეპურობილი. კეთროვნება გადამდები და მოურჩენელი ავადმეოფობაა და ვისაც შეხვდება, ცოცხალს ალპობს. ამაზე უსაშინელესი ავადმეოფობა აღარ შეიძლება. „სიცივით ვკვდები. შემიბრალე, გამათბე, შეეხეწა ფილარეტს სნეული, გახვეული ერთს ფარდალალა ძონეში. ფილარეტის ქოხში ისეთი სიცივე იღება, რომ წეალსა ჭეი-ნავდა. რაც შეშას მოულობდა, სულერთიანად ქვრივ-ობ-ლების სახლებში მიქონდა და იმათ უთბობდა სადგურებ-სა. უშეშობის გამო ცეცხლის ანთება ფილარეტს არ შე-ეძლო. ლოგინიც არა ჭირდა, რომ ჩაეწვინა და გაეთბო ავადმეოფი. თავისი ლოგინი დიდი ხანია დაწიგებინა დარიბებისათვის. სნეული გლახა კი საშინლად კანკალებ-და, თუ მალე არ გათბებოდა, უკი ამოუვიდოდა.

ფილარეტი მთლად შეიძერო უზომო სიბრალულმა და  
თავისი თავი სრულიად დაიკიტა. მან მიიჟანა სწეული,  
დაბწვინა ჭილობზე და თვითონაც გვერდით მოუწვა. გა-  
ახსნევინა წინადგან დაფლეთილი ტანისამოსი, თავისი ტა-  
ნისამოსის წინა ღილებიც გაიხსნა, სწეულის გულმკერდი,  
კეთროვნებით დაწელულებული, ჩაიხუტა თავის გულმკერ-  
დმი, რომ თავისი სხეულის სითბოთი გაეთბო გლასხაკი  
და სიცივისაგან სიკვდილს გადაერჩინა, უცებ გამთბარი  
და მოცოცხლებული სწეული მოშორდა ფილარეტსა. მი-  
იდო მაცხოვრის სახე, გაუნათა ქოხი ბრწეინვალე ნათე-  
ლით, ზევით-ზევით წავიდა და ჭერიდგან ამაღლდა. თა-  
ნაც ზეციდგან მოესმა განცვიფრებულს ფილარეტსა: „ნე-  
რარ იუვნენ მოწეალენი. რამეთუ იგინი შეიწუალნენ? ად-  
მოჩნდა, რომ კეთროვანის სახით გამოცხადებოდა ფილა-  
რეტს თვით მაცხოვარი, რათა იგი გამოეცადნა, სადამდი  
მიდიოდა მისი სიუვარული მოუვსისადმი.

ფილარეტმა ამას მემდეგაც კარგა ხანი იცოცხლა და  
აუარებელი სიკეთე დასთესა, როცა იგი გარე უცვალა. ზე-  
ვიდგან დაადგა შარავანდედი ბრწეინვალე ნათლისა, ნიშ-  
ნად იმისა, რომ უძლიერესმა სიუვარულმა მოუვსისამ უმაღ-  
ლესი ხარისხი ცხონებისა მიანიჭაო.

იაკობ სვიმონიძე



კირი და მგელი

(ხალხური ლექსი წარ. გ. აბა-  
შიძე—ლაშელისაგან)

აწეალს კირს მეტის  
ჯაფითა

ზურგზედ აღარ აქვს ტჟავია.

თვალი დაუდგა მის პატრონს

წისქვილზე წაუევანია.

მუხლამე რო შეიქნა,

ბალახში გაუევანია.

კირმა რო ტუჩი აიღო,

მგელმა გამოჭეო თავია.

— მგელო, ჭედავ ჩემ გასაჭირს,

ზურგზე აღარ მაქვს ტჟავია;

ଜୀବନକୁରାନ ମନ୍ଦିରକାନ୍ତି  
 ମାତ୍ରିଲୋକ ସାମନ୍ତ ଜୀବନରା.  
 ଜୀବନ ମାତ୍ରାନିର ମନୀରତଥି,  
 ଯପିଥି ଶ୍ରୀମଦାଶ୍ଵର ଜୀବନରା.  
 — ଏହି ପରିଚ୍ୟା ଜୀବନା-ଜୀବନାକି,  
 ଏହିପରିଚ୍ୟା ଜୀବନ ମନୀରତଥାକି;  
 ରେଧ କେମିର ମାଲାନିର ବିମ୍ବନା  
 ଦେଖିଲେନିମେହି ଶ୍ରୀମଦାଶ୍ଵର;  
 ମାମା କେମିର ମନୀର ଶ୍ରୀମଦାଶ୍ଵର  
 ଗାମନିଶାଶରାତି ମୃଦୁଲାନା!  
 ରାଜ୍ୟରାଜୁ ପୂର୍ବାକିମେହି,  
 କ୍ଷେତ୍ର ପାଦରାଜନିମେହି ପ୍ରମୁଖରା.  
 ତଥାଲୋକ ରାଜୁରାଜୁ ମନେ କାର୍ତ୍ତିନିକୁ  
 ରାମୀ ରାଧ ଗାନ୍ଧିଜୀବନା?  
 ଶିକ୍ଷେତ୍ରିଲେହି ରାମରୀହ ଶାତ୍ରେତ୍ରାତି,  
 ରାଜ୍ୟଶାସ୍ତ୍ର ଏହି ମନୁଷ୍ୟରାନିର!

## მშიერამის ოჯახი



ალაქის განაპირის, ბაქოს მიმავალ რეინის გზის გაღმა, პატარა გორაკის ფერდში, კლდეში შეჭრილია პაწია ფიცრული ქოხი — სეიმონა მშიერაძისა.

სეიმონა სულ სამი წელიწადი არ არის, რაც ქალაქში ჩამოსახლდა სოფლიდან თავის ცოლით მართათი და სამი შეილით.

ბევრი გაჭირება გამოიარეს სეიმონამ და მართამ, მანამ სამუშაო იშოვეს, ბევრჯელ მშიერ-მწყურვალი გაატარეს მთელი კვირები და შეილები კინაღამ არ ამოუწყდათ გაჭირებით, მაგრამ ქვეყანა განიერი, ადამიანი ღონიერი და სეიმონამ და მართამ ხელი წაიმართეს, დღიური ლუკმის შეძენის გზა იპოვნეს.

სეიმონა ზამთრობით შეშას ხერხავს, დილით საღამომდე შეშის მეიდანზე დგას და დღე ისე არ დაღამდება, რომ ორი სამი აბაზი, ბევრჯელ მანათიც არ იშოვეს; მართა კი სარეცხზე დადის, პურს უცხობს მეზობლებს და როცა გარეთ საქმე არა ჰქეს, შინ საბაზროთ წინდებსა ჰქონებს.

სეიმონას და მართას შხოლოდ ისლა აღონებთ, რომ ქალაქში ბინა არ მოეპოვებათ, ქირას ძლევა უჭირებთ საქმეს, გარდა ამისა სახლისპატრონები აბეზრებენ თავიანთი დიდგულობით, აბეზრებენ მეტადრე ამათ ბაეშებს. „ნუ ყვირით ოქენე გასაწყვეტნო, ნუ მდერით, ნუ დარბიხართ“, შეუწყვეტლივ ისმის სახლის-პატრონის მბრძნებლობა.

ბევრჯელ მართა როცა შინ არ იყო, ამის შეილებს კიდეც სცემდენ, სტანჯაედენ სახლის-პატრონის შეილები. მოვიდოდა მარ-

თა დაღალულ-დაქანცული და შეიღები დაახვედრებდენ ამბავს, ამან გვცემა, ამან ტანთსაცმელი დაგვაგლიჯაო; მშობლის გული ეერ მოითმენდა შვილების დაჩაგვრას, გამოესარჩლებოდა და გაი-მართებოდა ჩხუბი და ვაი-ვაგლახი. ამას მოჰყვებოდა სახლის დაც-ლა და წანწალი ქალაქის ერთი განაპირიდან მეორეზე.

— ოს ღმერთო, როდის გველირსება ჩვენი საკუთარი ჭერი გვეხუროს თავზე, იტყოდა ხოლმე საქმე გაჭირვებული სეიმონა, როდის მოერჩებით ამდენს წანწალს! მართა სანატრელიც ეს იყო.

ერთ დღეს შეშის მოედანზე, მუშტრის მოლოდინში შეშის მხერხავები, ისეთივე სოფლიდან ჩამოსულები და უბინაობით შეწუხებულნი, როგორც სეიმონა, ერთმანეთში ლაპარაკობდენ: „ქალაქის განაპირას, რკინის გზის ლიანდაგის გაღმით ხრიოვი გორებიაო, არავისთვის გამოსადეგიო და ამბობენ უპატრონოცაო; აქ ორიოდ სამ რკინის გზაზე მომუშავეთ ქოხები ჩაუდგამთ და ცოლ-შეილი შეუფარებიათ“.

სეიმონამ საღამოზე შინ დაბრუნების უმაღლ, უაშბო ცოლს ეს ამბავი, მართა სიხარულით ფეხზე ალარ იდგა, ოლონც კი ღმერთმა მალირსოს, რომ ჩემი გომბიოები ჩემ საკუთარ ჭერ-ქვეშ შევაფაროო და ქალაქ გარედ კი არა, თუნდ მახათაზე დაესახლ-დებიო.

პირველ კვარა დღეს, როდესაც მართაც და სეიმონაც თაეისუფალი იყვენ დილა ადრიან ადგენ, თაეიანთი სამი გოგოც წინ წამიძღვარეს და წაეიდენ ეერიდან მტკერის გაღმა, რკინის გზის ვაგზალისკენ.

ვაგზალზე კარგა მოშორებით, ჩულურეთის ზემოდან, რკინის გზის ლიანდაგს გაღმოჰყურებს პატარა გორაკი. ამ გორაკის შეუწელზე მართლა ხუთიოდ ქოხი იყო გამოჭრილი; მიწის განიერ ორმოს, მხოლოდ წინა კედელი ჰქონდა ატანილი ფიცრით, ამ ფიცრულში პატარა ფანჯრები იყო დატანებული და ზემოდანაც ფიცრისავე ჭერი ჰქონდა გადახურული.

მართა გამოეხმაურა ერთ-ერთ დიასახლისს ამ სახლებისას და შემდეგი ამბავი შეიტყო: ავაშენეთ ეს ქოხები და კი არ ვიცით, ღმერთი როგორ მოგვხედავსო, აქეთ იქიდან გვეუბნებიან, რომ ეს ალაგი ქალაქისათ და შეიძლება ქალაქმა აგყაროთო.

მართამ ამ უკანასკნელ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ამას ვერ წარმოედგინა, რომ ამისიანა ხრიონს და უდაბნო ალაგს გამოეპატარონებოდა ვინმე და მოწიწებით დაეკითხა დედაკაცებს: „ოქვენ ხომ არ გეწყინებათ, ჩვენც რომ აქ თქვენ გვერდით ქოხი ჩავდგათო“.

— ჩვენ რაში გვეწყინება, ადამიანო, ჩვენ ის არ გვირჩევნია, რომ მეზობელი მოგვემატოს, მიუკო დედაკაცმა ზრდილობიანად.

თავის მხრით სეიმონა ვაჟკაცებს გაეცნო, მეზობლობაზე იმათი თანხმობა აიღო და საქმე ხელად გაიჩარხა.

სულ ორ კვარას არ გაუვლია, რომ სეიმონამ კლდეში შეჭრილ კედლებს ჭერი გადახურა და ამ უკარ-ფანჯრო სახლში ცოლ-შეილი შეასხა.

გაზაფხული იყო, შეშის მოედანზე საქმე თითქმის მოისპო, ათასში ერთხელ თუ გაჩნდებოდა შეშის მუშტარი და თეთ შეშაც ძრიელ იშეათად მოჰქონდათ ამ დროს სოფელში გაცხარებულ მემუშავეთ.

სეიმონამ მთელი თავის დრო და ღონე თავის ახალ ბინის გაწყობას მოაწდომა. მართამ შიგნი-შიგან შენახული და ათას კონკ-ში გამოკრული თითო შაურობით მოგროვილი ორი თუმანი გამოხსნა; სეიმონამ ამ ფულით ნაყიდი მასალით იწყო კარ-ფანჯრის მზადება, მართა მთელი დღეობით ჩაკუნტული პატარა წერაქეით ეზოს აგანიერებდა და პატარა გოგოები გაქანებული ზიდავდენ ნათხარს მიწას და ახლო ხევში ჰყრიდენ.

სეიმონამ თავისუფლად მოიზომა ათი ადლი სიგრძით და ექვსი სიგანით სახლის ეზოთ და საზღვრებზე ხეხილის ხეები ჩაპყარა.

მთელმა ზაფხულმა ამგვარ განუწყვეტლივ შრომაში გაიარა მშიერაძინთ ოჯახისთვის.

შემოდგომაზე, როდესაც ცაშ მოილრუბლა და ციებმა ქარმა იწყო ქროლა, სეიმონამ ტკბილად ჩაიცინა და თითქო დაცინებით უთხრა ბუნებას: „ახლა რამდენიც გინდა იქროლე და იტარ-ივაგლაპე ჩემ ციხე-დარბაზს მაგარი კარი აბია და კუთხეში გამოჭიმული კოპწია რკინის ფეჩი შენ მუქარას არ შეუშინდებაო“.

მართა ბეღნიერებით საცხე, რომ ახლა ამის შეილებს აღარავინ დაწილებდა, არხეინად დადიოდა თავის საქმეზე და ათასში ერთ-

ხელ თუ მოუხდებოდა საქმე—დღით შინ დარჩენა, აიღებდა წინდას ხელში და ამაყად გამოიჭიმებოდა თავის ოთხ-თევალა ფანჯარისთან და ზემოდან გადაჰყურებდა ქვემოდ განიერად გაშლილ თბილისს; ბეკრჯელ გაიტაცებდა ხოლმე ეს სურათი მართას და დაავიწყებდა ჩეკულებრივ, შეუწყვეტელ საქმეს. ეს ახლა თავის თავს სოვლიდა ამ დიდ ქალაქის წევრად, ამ ცხოვრების მორევში ერთ ერთ მოცურავად და თავის სოფელი, ის მიყრუებული კუნძული, რაღაც მიძინებულ ქმნილებად მიაჩნდა და ძნელად თუ კიდევ ინატრიდა, რომ ის მოძრავი, დაუსევნარი და დაუდგრომელი ქალაქის ცხოვრება, იმ მყუდრო, ფერ-მკრთალ ცხოვრებაზე გეეცვალა.

უფროსი გოგო ნენე დედას მხარში უდგა, სახლს უვლიდა, ჰკერავდა, აკერებდა, ჰქსოვდა, დედა როცა შინ არ იყო, კერძსაც უმზადებდა ოჯახს; შუათანა კი ჩუღურეთის სამრეველო სკოლაში დადიოდა. სეიმონას სიცივის მოწყალებით სამუშაო ულეველი ჰქონდა და საღამოებით ყოველთვის ერთი ნაჭერი შეშით ერთ ხელში და მეორე ხელში ხორავეულით საცხე ხელსახოცით კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ.

ასე ამ გვარად ტკბილად და მოსვენებით მიღიოდა მშიერაძიანთ ცხოვრება, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სულ სხვანაირად დაატრიალა იმათი ბედ-ილბალი.

ამათ გვერდით, მარცხნივ და მარჯვნივ ახლა სხეა გაჭირვებულებშა დაიწყეს საძირკვლის ოხრა; ქალაქში მუქთი ბინის მშობელი ბევრი ამოჩნდენ და ამ გარემოების უნებურად ქალაქის მართველობამ ყურადღება მიაქცია. გაჩნდა პოლიცია და ყველას საერთოდ გამოუცხადა, რომ იმათი საქციელი უკანონოა; ახალ-მოსულებს მუშაობა აუკრძალა, დასახლებულებს უბრძანა, რომ თავიანთი შენობა აელოთ და საცა ნებავდათ იქით წასულიყვენ.

ამ ამბავმა მშიერაძიანთ ოჯახს თავს ზარი დასცა. საშინელი იყო იმათი შწუხარება. მართა და სეიმონა მგლოვიარედ დასხდენ და ერთმანერთს შესტიროდენ: რა ვწნად, რით უშეველოთ საქმეს? ახლა, როდესაც სული მოვიდგით, ჩვენი ძალა და ღონე ზედ შეეალიეთ ამ სადგურს, ჩვენი უკანასკნელი გროში აქ ჩაეყარეთ, სად წავიდეთ? კიდევ ბოგანოთ გავხდეთ, შვილები ძალლის ლეკვებიერით სად ვაწან-წალოთ? მაგრამ წუწუნით და ტირილით რა გამოვიდოდა, ზოგჯერ

კანონი ფრიად სასტიკია და ყოველის მიუხედავად თავისას თხოუ-ლობს.

ერთ დღეს, როდესაც გიორგობისთვის ქარიშხალი საშინელის სიმკაცრით გრიალებდა და გამოლელ-გამომელელს სუნთქვას უძნე-ლებდა, როდესაც ყოველი სულდგმული ცდილობდა, რომ თავი შეეფარებინა სადმე ყუდროში, მშიერაძიანთ ექვსი შეიარაღებული პოლიციელი მიაღვათ კარზე: „კანონის ძალით თქვენ უნდა დას-ცალოთ სახლები და ჩვენ უნდა დავანგრიოთ, გამოუცხადეს იმათ.

მთელ უბანში მამაკაცები შინ არ იყვნენ და სახლში დარჩე-ნილ ბავშებს და დედა-კაცებს საშინელი წივილ-კივილი შეუდგათ. ყველამ მშიერაძიანთ კარებზე მოიყარა თავი და არ იცოდენ, რა ექმნათ.

— დაანგრიოთ, დაანგრიოთ?! გაოცებული ეკითხებოდა მართა, დაანგრიოთ? დაანგრიოთ ჩენი ლამაზი ქოხი, ჩენის ოფლით და ჩენის უკანასკნელის გროშით აგებული? დაანგრიოთ ის, რაც ჩენ-თვის ერთად ერთი ცხოვრების ნუგეშია! რას ამბობთ, რას? ღმერთ-საც შეხედეთ, სვინიდისს დაეკითხეთ. ვერ ხედავთ, რა საშინელებაა, რა რიგად ჰყინაეს, ქარი როგორ გააფთრებულია? წერილ-შეილი სად წაეიყვანო, პირუტყვნი ხომ არა ვართ, რომ კარში გაგვრეკოთ, რას გიშლით, ვის რას ვაკლებთ, ყველასთვის გამოუსადევარი, ვერა-ნა ალაგი გამოვიყენეთ, გლახაცნი და მაწანწალა ხალხი ადამიანათ გაეხდით, თავზე ჰერი დავითარეთ და ახლა ხელახლად მაწანწალად უნდა გადაეიქცეთ?! ნუ, ნუ იჩამთ მაგ საშინელ საქმეს, შეგვიძრა-ლეთ, ჩენ ქოხის ნანგრევებში ნუ დაგვამარხეინებთ თავს.

მართა ხან ჯაერობდა და ხან ხევწნა-მუდარით, ცრემლებით სავ-სე თვალებით ევედრებოდა პოლიციელებს.

მართას მოთქმას მეზობელი დედაკაცების და ბავშების ღრიალიც ემატებოდა და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა: პოლიცი-ლებმა უკან დაიწიეს, მაგრამ ორი წამის მოლაპარაკებას შემდევ ერთ-მანეთში უფრო შედგრათ დაუწყეს ამათ ბარგის გარედ გამოყრა.

— ხალხნო, მეზობლებო, ადამიანები არა ხართ გვიშევლეთ, დაგვეხმარეთ, ნუ აკლებინებთ ჩენ თავს ამ ყაჩალებს, გვიშველეთ! შეჰვილა მართამ აქ მდგომ დედაკაცებს, ხვალ ეს დღე ხომ თქვენც დაგადგბათ, გვიშველეთ!

მართას გამწარებულ სიტყვებში ისეთი ძალი იყო, რომ დედა-კაცებმა ერთ წამში კეტები საიდანლაც გააჩინეს და დეერიენ პო-



ლიციელებს; ბავშებმა დაუწყეს ქეის სროლა, მიწის ყრა, ტანისამოსის გლეჯა. პოლიციელები ამ გვარმა თავხედობაშ უფრო გააბრაზა და უფრო მედგრად დაეცენ საცოდავის მართას სადგურს.

ხის კედელზე ოდნავ მიკოწიწებულ კარ-ფანჯარას ლაწა-ლუწი გაუდიოდა, ბუხარს წიხლით ანგრევედნ, ლაბიერებს ამტკრევედნ, ოჯახის ნივთეულობას დაუზოგველად აქეთ იქით ისროდენ.

— ნუ გვიოხხრებთ ოჯახს, ნუ გვინგრევთ კერას! თქვე ურჯულოებო, თქვე ღვთის მტერნო, გაჰკიოდენ გაკაპასებული დედა-კაცები და გაორკეცებულ ძალით თავს ესხმოდენ პოლიციელებს. ორ საათს შემდეგ მშიერაძიანთ გაკრიალებული ეზო, სისხლით მორწყულს ბრძოლის ველს წარმოადგენდა. დაჭრილთა შორის ბევრი ბავშები და დედაკაცები იყვენ, მაგრამ გამარჯვება მაინც სახლის პატრონებს დარჩათ და ტანთსაცმელ ჩამოგლეჯილი და პირ დაკაწრული პოლიციელნი უკუ-იქცენ.

ომს შემდეგ კარგა ხანს ამ ძალით გაშენებულ უბანში სრული მყუდროება ჩამოვარდა.

ახალ გადმოსულებმა განაგრძეს თავიანთი შენობა და ძველებმაც შეაკეთეს მტრის ხელით გაევრანებული სადგურები.

თუმცა ჯერ-ჯერობით აღარა ისმოდა რა, „ძალათ უბანს“ არავინ ურყევდა მყუდროებას, მაგრამ მართას და სეიმონას მოსევნებულ ცხოვრებას სამუდამოთ ბოლო მოეღო. ამათ აქეთ-იქით იკითხეს, იწვრილეს და შეიტყეს, რომ ქალაქი კანონის ძალით წართმევდა ადგილს, აუნგრევდა შენობას და ყოველი იმედი დაჰკრებეს.

საღამ-საღამოობით, როდესაც მშიერაძიანთ ოჯახი მოუსხდებოდა ხოლმე მამის მოტანილ შეშით გახურებულ „ფეხს“, მხიარულის ლაპარაკის და სიცილის მაგივრად, სრული დუმილი იყო მათ შორის.

პატარა მაშუა, სამრევლო სკოლის შეგირდი ჩურჩულით ასწავლიდა თავის უფროს დას ანბანს, მართა და სეიმონა ჩუმათ, ფიქრით საესე თვალებით შეჰყურებდენ გაგუზუზებულ ცეცხლს და ათასში ერთხელ ღრმათ თუ და ამოიხსერებდენ. ბავშები ჰერქინობდენ დედ-მამის მწუხარების მიზეზს და ჩუმათ ისხდენ, მანამ ძილი არ მოუპრუწავდათ თვალებს.

ახალწლის ღამე იყო. ქარს საშინლად გაუდიოდა ბზუილი და

იმ მაღლობ გორაკზე, საღაც მშირაძინი იდგენ ერთი არად ძალას იჩენდა და არემარეს ჰელეჯდა.

— შეიღო, ნენ, „ფერი.“ შეუკეთე, საცაა მამაშენი მოვა და სახლი თბილად დახედეს, დღეს ვინ იცის, წელში არ გამართულა, კიდეც დაიგვიანა. მაშო, შენ სამოვარი დადგი, დღესასწაული საღამოა, ჩაი დავლიოთ. მამაშენი ჩაი-შაქარს მოიტანს.

— ახლავ, დედაჯან, ახლავ მხიარულად მიუგო მაშომ დედას და თან მიუახლოვდა და ჩუმათ უთხრა: — იცი, დედილო, მამა დამპირდა საღამოზე, არსენას ლექსსაც მოგიტანო, ხეალ წირვას შემდეგ მოგიჯდებით და წაგიკითხავთ. შენც და მამაც ხომ შინ იქნებით დიდი „პრაზდნიკია“!

— კარგი შეიღო, აგრე იყოს, ამოახერით უთხრა მართამ თავის გოგოს და თან გულში გაიფიქრა; „ნეტა შენ, რომ ბავში ხარ და მომავალზე ფიქრი არ გაწუხებს.“

— დედა-კაცო, კარზე გამო, ერთი ეს კალათი ჩამომართეთ! მოისმა გარედან ხმა სეიმონასი; სუსკელანი კარზე გაცვივდენ და ამათ განცეიფრებას საზღვარი არა ჭრონდა, როდესაც სეიმონას ჩეულებრივ ტვირთს: ორ ნაჭერ შეშას და ხელსახოცით ხორავს, კარგა მოზდილი, განიერი კალათიც ზედ დამატებოდა.

— ნელა, ნელა! ხელიდან არ გაგვარდეთ კალათი, რას მიეცეინით, შიგ ბავში წევს.

— ბავში! რას ამობ, კაცო, როგორ თუ ბავში! გაკვირვებით შეკითხა მართა სეიმონას.

— შევიდეთ სახლში და იქ გეტყეით, ამ სიცივეში აქ რას გაჩერდით და განთავისუფლებული ხელით სეიმონამ ოთახის კარი შეაღო.

— ი, გიშველა ღმერთმა, ჩემო დედაკაცო, რომ სახლი ასე გაგოთბია, სამოვარიც ხომ დუღს, კმაყოფილების ღიმილით მიიხედმოიხედა სეიმონამ და საახალწლოთ მილაგ-მოლაგებულმა, დაკრიალებულმა ოთახმა უფრო სიამოვნებით გააღიმა.

— რა დროს ეგ არის, კაცო, რა ბავშიო, რას ამობ, საიდგან გააჩინე, ბავში შენ ვინ მოგუა? მოუთმენლად ეკითხებოდა მართა ქმარსა და თან კალათას ხსნიდა.

კალათას ძირში სქლად ჩაგებულ ბამბაში, თეთრებში გამოკრული რამდენიმე დღის დაბადებული ბავში იწვა, ზემოდანაც ბამბა და



საბნები ეხურა და ტკბილად ეძინა. სანთლის შუქჲე თვალები აა-  
ხილა, დაიღრიჯა და ტირილი დაიწყო.

— ქა, რას გაჩუმებულხარ, კაცო, არ იტყვი ეს რას ნიშნავს?

— რას უნდა ნიშნავდეს, ადამიანო, ქუჩაში ვიპოვჩე. ქალაქი-  
დან მოედიოდი, ჩემი ჩვეულებრივი დარდი და ვარამი გულს მაწვა  
და თავზაღუნული ფიქრებში გართული მიწას. დაუცქებროდი; უცებ  
რაღაც კნავილი მომესმა, მივიხედ-მოვიხედე, პირჯვარი გადავიწერე  
და ჩემ გზას გამოვეშურე, ვნახოთ კიდევ კნავილი მომესმა. ახლა კი  
შევდექ, უკან დაებრუნდი, დასწუველოს ღმერთმა წყეული მეთქი  
ესთქვი, ეს რა ამიძღვა მეთქი. ვნახოთ ერთი სახლის კუნკულთან ეს  
კალათი დაეინახე; ახლო მიველ, დაეწედი და იქიდან კი ამოდის ეს  
კნავილი, გადაეხადე საბანი, ენახე ბაეშია და საცოდავათ ჩხაეის, რა  
მექნა მთელ ქუჩაში ადამიანის ნატამალი არსად იყო. მინდოდა პო-  
ლიკიაში წამელო. მაგრამ შორს იყო, კიდეც შემებრალა და შინ  
წამოვიდე.

— უი, ჩემ თვალებს! რო მოგქონდა რაში გინდოდა, რა უნდა  
უყოთ. ჩვენი შეილების ცხოვრება ეყრ მოგვიხერხებია, ლამის ესე-  
ნიც უჭეროდ ქუჩაში დაგვრჩენ და შენ სხვისი შეილიც კისერზე  
შემომახვივ.

— კარგი თუ ღმერთი გწამს! ნუ აყაყანდი, ხომ ხედავ ბიჭის,  
რა დიდი ამბავია, რომ შეილათ აეიყანოთ, ჩვენ ხომ ღმერთმა ვაჟი  
არ მოგვცა, დე, სხვისი შეილი გამოვზარდოთ, იქნება ეგ უფრო გა-  
მოგვადგეს მხიარულად უთხრა ცოლს სეიმონამ.

— ხელამდინ ხომ შიმშილით მოკვდა, აბა რა ვაჭამოთ, ძუძუ  
მე არა მაქეს და რე არსად გამაჩნია, აბა რა უყოთ ამ საცოდავს,  
ხომ ხედავ რა რიგათ ღნაეის. გამოვზარდოთო, მერე როგორ? იქნე-  
ბა ძიძის დაჭერაც მოინდომო.—არ იშლიდა მართა ქრიმის საყვედლურს.

— დედი, ნუ ჯაერობ წამინდახა ნენემ, მე გავიქცევი და ჩვენ  
მეზობელ ნინოს დაუქახებ მოაწოვოს, იმდენი რე აქეს, იმდენი, რომ  
იმის ბავში ვერ ერევა და სულ ნიაღვარივით ექცევა.

— კარგი, შეილო, წადი დაუქახე, თუ არა სძინავს.—უთხრა მარ-  
თამ თავის ქალს, ბაეში ამოიყანა, ფეხთან გახსნა და საშინლად შეჰ-  
კივლა, ბაეშს გულზე ოქროს ჯაჭვით ძეირფასი თვლებით შეჭე-  
დილი ჯვარი ეკიდა.

— რა დაგემართა, დედაკაცო, მიუახლოედა სეიმონა ცოლს და  
რა დაინახა ძეირფასი სამკაული, თითონაც გაჰკვირდა. დიდება შენ-

თვის ღმერთო, ეს რა მოჩენება მოხდა! ქურდობა დამაბრალონ, რა-  
ლა მეშველება: რალა მე ვიპოვე ეგ დალოცეილის შეილი.

ამასობაში პატარა მაშო და იმის უმცროსი და-კალათს შინ-  
ჯაედენ, იქ ჩალაგებულ ბავშის ტანთსაცმელს ათვალიერებდენ  
და ახლა იმათ მორთეს კივილი: დედა, ნახე, რეებია, რეები. ბეჭდე-  
ბი, ბრასლეტი, პატარა ხატი, უყურეთ შიგ რა ლამზი ქალის პატ-  
რეტია. მართა და სეიმონა მთლად ცახცახებდენ შიშით და სიხა-  
რულით.

გარედან მოყინულზე ფეხის ხმა მოისმა. მართამ საჩქაროთ  
ნიეთები შეინახა და ვითომ აქ არაფერიაო მეზობელ დედაკაცს ისე  
მიეგება.

— ნინო, თუ ღმერთი გწამს, ერთი მოაწოვე ამ საცოდაეს, ვინ  
იცის, სამი დღეა, არა უჭამია რა. ნინომ სიამოვნებით გააძლო მშეირი  
ბავში, გამოჰკითხა სეიმონას ყმაწევილის პოვნის ამბავი და საჩქაროდ  
წავიდა.

მართამ გამაძლარი ბავში შეჰკრა და ისევ კალათაში ჩაწეინა,  
საბანის დახურების დროს შიგ ხელის ოდენა ბარათი იპოვნა და ხელ-  
ში დალონებული ატრიალებდა: ვინ იცის ამ ბარათში სწერია ბავში  
ვისიც არის და ჩვენ კი იმედებით ავიგსეთ სთქეა იმან წუწუნით.

— დელი, აბა მომე ბარათი იქნება წავიკითხო, დარცხვენით  
სთქეა პატარა მაშომ.

— აბა, აბა, ჩემო მწიგნობარო, სიცილით უთხრა მართამ.

მაშომ ჩათელით წაიკითხა: ჩემ პატარას აღმზდელს! გიძლვნით  
სუყველაფერს, რაც კი სულს აქეთ გამანინა, სახელად მოსე უწოდეთ.  
როცა გაიზარდოს ეს ჩემი სახე გულზე დაჰკიდეთ, დე ახსოედეს  
დედა, რომელმაც მაგის სიცოცხლის მიცემას თავისი სიცოცხლე  
შესწირა. მელანია.

სეიმონამ ქუდი მოიხადა, მარჯვენა ხელი მაცხოვერის ხატისკენ  
გაიშირა და გრძნობით სთქეა. „ღმერთო გმადლობ, რომ მეოთხე  
შეილის შეძინებით მოწყალება მიბოძე და ის შიში და ვაგლახი,  
რომ ჭერს თაეზე დაგვაჭცევდენ ახლა ამ ბავშის მოწყალებით შევ-  
ძლებთ შევინარჩუნოთ ეს ქოხი, რომლის დაომობაც ასე აუბედუ-  
რებდა და ალონებდა ჩემს საწყალს ოჯახს.

ეკ.—გაბაშეიღლისა.

## მოსწავლე



გზამენებს რომ მოვტები,  
 ჩემსას წავალ მხიარული.  
 ეცი, იქ არ მომაკლდება  
 ალერსი და სიყვარული,  
 როცა აქეთ მოვდიოდი,  
 მამა ჩემმა დამაბარა:  
 „ოსტატი არ გააჯავრო  
 „და იჯექი კლასში წყნარა.  
 „აბა, შეილო, მომეხმარე,  
 „იქონიე ბეჯითობა,  
 „კარგის სწავლით გამახარე,  
 „მამა შენი გენაცვლება.  
 „იცოდე, რომ მზად მექნება  
 „შენთვის კარგი საჩუქარი  
 „ჩოხა, ქუდი და ქამარი“.  
 ეს მითხრა და გადამკუნა,  
 სამეზის წაღმა დამსბრუნა.  
 „წალი, შეილო“, მომაძახა,  
 უცბად პირი მიიბრუნა.  
 დედა დიდხანს არ მომშორდა,  
 მთლად გადმომყვა კარ-მიდამო.  
 „იცელქო და არ ისწავლო“.  
 მითხრა, მაგას ნუ იზამო.  
 „შეილო! სწავლის დაწყებისწინ,  
 „პირზე ჯვარი გადისახე.  
 „გულით ღმერთსა შეევედრე,  
 „შემდევ შენი საქმე ნახე.  
 „შენს უფროსს კაცს პატივეცი,  
 „ამხანაგთან იყავ ძმურად.  
 „უმცროსებთან ალერსითა

„და ყველასთან კი ერთგულად,  
 „შენს თავს კარგა მოუარე,  
 „რაც რომა გაქვს, არ დაკარგო.  
 „იცოდე, რომ სირცხვილია,  
 „არ გამოდგე, არ იგარგო.  
 „დაწოლის დროს არ ივიწყო:  
 „შეილო, პირჯვარს გადიწერდე;  
 „მარჯვენაზე დაწვებოდე  
 „და საყელოს გაიხსნიდე.  
 „გიჯობს დილით აღრე აღგე  
 „და ხელ-პირი დაიბანო.  
 „ტანთსამოსი გაიწმინდო,  
 „მაგრათ თავი დაივარცხნო.  
 „შემდეგ ღმერთსა თაყვანისცე  
 „და კლასისკენ გაემგზავრო.  
 „კარგის სწავლით, ყოფაქცევით  
 დედა შენი გაახარო“.

ცრემლითა და წუწუნით  
 დამარიგა და მაკოცა.

მითხრა: „შეილო, არ დაკარგო“!

უზალთუნი ხელში მომცა.

დედის ცრემლშა გული დამწეა,

მეც ტირილი დავაპირე.

მაგრამ თავი შეეიმაგრე...

სხევბის შემრცეა, არ ვიტირე.

მე მშობელთა დარიგება

მტკიცედ შემისრულებია.

ჩემი სწავლა, ყოფა-ქცევა

არ ვის დაუწუნებია.

ამითა გარ მხიარული,

მივისწრაფი შინისკენა,

ზარმაცხა და მშობლის ურჩისა

ყველამ უთხრათ; ფუ! შერცვენა.

გორგოსა.

## რ ა მ ი ს ი

(მოთხოვთა ნადირთა ცხოვრებიდან)



ჭ., ოჭ., როგორა ცივა, ძვლები მეტინება, ლამის  
 კანკალება ამიტანოს! მოწეულ აქეთ, გენაცვალე, ე  
 გვერდი მომადე, რომ ცოტათი მაინც გავთბე;  
 თოვლს ხომ ჭედავ ზევიდან როგორ დაგვდის. ცოტა ხან-  
 ში ისე დაგვთოვლავს, რომ აღარც კი ვჩანდეთ. კიდე, კი-  
 დე, გენაცვალე! ხომ არ გეშინია საღმე გადაგქანდე, ეს წი-  
 ფელი ისე მაგრა დგას, რომ მე კი არა, მთის ზვავიც  
 რომ მიაწევს, ვერ დასძრავს.

დედალ შეელს სციოდა და თავის რქიანს ამხანაგს  
 იჯატიუებდა ისე ახლო.

— რა დოოს სიცივეა. ქალო, გაეხმაურა რქიანი, ლა-  
 მის შიძით გული გადმომგარდეს. თოვლი ჩემს ზურგზე  
 წეალდება სითბოსგან, ჩემი გული შიძისგანა ღნება. რა  
 ბნელი ღამეა, ხომ ჭედავ და რა ცივი და საზარელია.  
 აბა, აქ რა ცუდ ალაგას დაგბინავდით.

გული სულ რაღასაც შემომკვნესის, ქარის სვივილი  
 მტრის ფეხის ხმად მეზვენება. ხის ტოტები რომ ცივა,  
 მე მგელი მგონია.

სხვა კი რა მოგვაგნებს ახლა, კაცი ამ დოოს და ამ  
 ალაგს ამისთანა ამიღმი ვერ ამოაღწევს. მგელი მაში-  
 ნებს, მგელი!

მგლის ხსენებაზე დედალი შველი სულ გაძრა, სა-  
ცოდვად დაიწეო კანკალი და თრთოლა. ახლადა მო-  
გონდა თავისი მდგომარეობა, ამოდენა თოვლი, ამისთანა  
სიცივე, გვერდობი, ფერდობი, უხეირო გზები, მშერი მგე-  
ლი, იმისი სისხლიანი თვალები, ბასრი კბილები და მას-  
თან მარტი რბენა საწყალს სიცივე სულ დაავიწევდა. უჭ-  
რო და უფრო მოუმატა კანკალი. შიშისგან თვალები და-  
აჭურა, რაც მალი და ღონე ჰქონდა, მადო წიჭელს უ-  
რი და დაიწეო სმენა.

დაიკივლა ბუმ მორს, ზედ მოუქცეველ ღრუები, ურუ  
ტექმ რაღაც სახარელი და შემაშვილთებელი ბანი მისცა.  
შეხტა შველი, გაუეინა სისხლი. დაუგდო კიდევ უ-  
რი. დაიკივლა კიდევ ბუმ და დაიარა იმისმა კივილმა  
მდუმარე მთები და გულჩათხრობილი ტჟემბი. შეკრთა კი-  
დევ შველი.

— მადლობა ღმერთსა, წაიდიდუნა შველმა, ბუ უღვი-  
ლა. ტეუილად შევშინდი. აგერ მოსტედა სმელი ტოტი ხი-  
სა. ლაწა-ლუწით ძირს ბარტეანი მოიღო. დათოვლილმა  
ხეებმა ჩუმად გაუხმიანეს. შეათროთოლა შველი, შიშით უელში  
წაეჭირა. უნდოდა ეთქვა რამე რქიანისათვის, მაგრამ შიშით  
არაფერი ხმა აღარ ამოუვიდა უელიდან. დაუგდო ური,  
ნელი ქარი თოვლს ზემოთ პირზე შრიალებდა, ახლად  
დადებულს და დაუზერქნავ თოვლს თევზის ქარქეჭლასა-  
ვით ურევდა ერთმანეთში. ტეის უფოთლო წვერებში გვმ-  
ლივით სისინებდა.

„ოჟა“, დამევ, ოა მნელი ხარ ჩემთვის, ნეტავი იცოდე, შენი გაუსვლელობა რას მიშვრება, ხომ გათენდებოდი. ღლევ, შენ მაინც მოდი მალით, თუ დამე არ მიდის ნებითა. „ეკედრებოდა ქანგალით შველი, მაგრამ უქამოდ არც დამე მიდიოდა და არც სინათლე აჩენდა მთას იქიდან რქის წვერებსა. ისიც თავის დროს თუ ელოდა.

დამე გძელდებოდა, თმენა მნელდებოდა შვლებისათვის.

— ახ, ნეტავი მალე გათენდეს, მალიან მეშინა, არ ვიცი, რადა? ამაღამ ამიგორდა შიშის გორგალი. აკი უმისოდაც ტექში ვათენ-ვაღამებთ. შენ მაშინებ, რქიანო, შენა, მითხარ მაინც, მალე გათენდება თუ არა.

— ეს არის, ახლა არ დაღამდა, ჯერ ხომ საღამოს ნიავიც არ ჩამდგარა, უპასუხა რქიანმა და თვითონაც როგორდაც შემკრთალმა, თითქოს ური რაღასაც მოჰკრაო, ჭაერს ური მიუშვირა. ქარმა ახალი თოვლი და ხეებიდან ჩამონადენი ბარდანი \*) შეაერა ურებებში.

ბღუუ, ბღუუ, ბღუოდა და დაზუზუნებდა ქარი.

— უუ! უუუ! აუუ! მოჰკევა ქარს საზარელი ღმუილი.

რქიანი გაქვავდა, სული შეუგუბდა და სუნთქვა გაუჭირდა.


— აუუ, უუ! გაისმა წინა ხმის შასუხად ჭაერში ახლა სხვა მხრიდან და შირდაპირმა მთამ უგანასკნელს გავძელებას და მოსცა ხმა — უუ! ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, ნუ დაგვერგავ! წაიბუტბუტეს ორივემ გულში.

\*) ბარდანს ხელზედ დამდგარს თოვლს ექახიან, წვერივით რო დაუკიდება ცოტებზე.

— გაიგონე? — უთხრა სმის კანკალით რქიანმა დედაშველსა.

დედაშველს თქმა რაღათ უნდოდა. იმან შხოლოდ ერთი ღრმად ამოიქმინა, მიეკრა რქიანსა და შეძლილივით დაებლიტა თვალები.

— რაღა ვქნათ, რქიანო, რაღა გვეშველება. სომ გაიკებენ რომ აქა ვართ, გაგებულიც ექნებათ, იმატომ უმუსის ისე, ტოლს ეძახის, რომ უფრო ადგილად დაგვიჭირონ. რაღა ვქნათ გენაცვალე, რქიანო. მითხარი რამე, თორებ აქვე სული გამცვივა. რაღა ვქნათ“. რაღა ვქნათ!! ნეტავი დაგვხოცა მაინც ერთხდა, რომ იმათთ საკლეპი არ გავხდეთ; ვინ იცის, შენ სად შეგჭამენ და მე უშენოდ სად გამომხვრებ. არ დამანებებ თავსა, რქიანო, არ გამუ-



ცევი განა? არ შემაჭმევ იმ სისხლის მსმელებსა, განა! გაუგებრად ქმუდარებოდა მველი.

— სუ, აბა, დაუგდე უური, ახლა მეორე მხრიდან რა  
მოდის, გესმის, შეურილან ერთად, თავს უშეველოთ!

\* \* \*

ერთს წამს ორივენი ფეხზე იდგენ. რადა დაამინებ-  
დათ. მიჰეუდეს ერთმანერთს ზურგები და გადაფრენ-გადაფ-  
რენაზე იუკენ. ტეის ბნელს გულში უცებ რაღაცამ დაი-  
ჭიქა და ერთის ხრიალით მირს გაიტეაპუნა. შეშინებული  
ფრინველი ამ ხმაზე წიგილ-კივილით აფთხა და გაჩქარე-  
ბული შეიძალა ხეების ფარდულ ტოტებში. დედალი შეე-  
ლიც შეხტა და დაბლა ფერდობზე უნდა დაშვებულიურ,  
რომ რქიანს არ დაეჭირა. — დაიცადე, გენაცებალე, დაიმშვი-  
დე გული, სად უნდა გადახტე მანდა, ხო კლდეზე დაი-  
ლევი საღმე. ხე მოსტედა და იმან როგორ შეგაშინა. ისი-  
ნი ჯერ შორს არიან, სანამ აქამდე მოვლენ, კიდევ თავს  
ვუშეველით.

— წავიდეთ, წავიდეთ, რქიანო აქედან. ქვევით ჩავი-  
დეთ, გორის ბირს ჩავუვეთ. ქვეით კარგი ველიანები არის,  
გასაქცევიც ადვილია და თავსაფარიც.

ორივენი ფეხაკრეფით, ფოთხილად, უხმოდ დაიმრენ ად-  
გილიდან, შედგეს კორზე ფეხი და შეჩერდენ. მისცა ცხვი-  
რი ჭაერს რქიანმა და დაუწეო ხარბად სუტგა. ერთგული  
ცხვირი მტრის სიახლოეს უტუშვრად და გულადად ეტ-  
ეოდა.

ფიქრი არ არის, მოდი შენც, მოუბრუნდა ამსანაგს.

რქიანი და იმისი ტოლი ერთს წამში ხმლის ზურგი-  
ვით სურზე დაეშვენ ჯანჯალით დაბლა ველებისკენ. პატა-  
რა ხანს შემდეგ ველების გვერდში თხილებსა და თხი-  
ლებ შეა ფარდაგის ტოლა ცარიელ ადგილზე იდგენ რქია-

၆၀ და იმისი ცოლი და სულს იღებდენ (ჰაյრსა სუნავ-  
დენ) აღმა დაღმა, მაგრამ ქარი აღმოსავლეთისა ჰქონდა,  
ჩრდილო შხრისას რას გაიგებდენ.

\*\*

ამ დროს კორაზე, სადაც რქიანსა და ტოლს ჰქონ-  
დათ წინათ ბინა, ორმა დაუმენდილმა მკელმა ამოუო ცხვი-



რ. ერთს წამს შედგენ, რაღაც სუნი ეცათ და ერთმანერ-  
თის მემჯობიას კორის წისლებივით ტეუპად გადაემვენ  
შვლების ნაწოლისკენ. შვლების გამო საღერღელი აშლო-  
დათ, ორივემ დაღებული პირები და დაკრეჭილი კბილე-

ნი და იმისი ცოლი და სულს იღებდენ (ჰაյრსა სუნავ-  
დენ) აღმა დაღმა, მაგრამ ქარი აღმოსავლეთისა ჰქონდა,  
ჩრდილო შხრისას რას გაიგებდენ.

\* \*

ამ დროს კორაზე, სადაც რქიანსა და ტოლს ჰქონ-  
დათ წინათ ბინა, ორმა დაუმენდილმა მგელმა ამოუო ცხვი-



რი. ერთს წამს შედგენ, რაღაც სუნი ეცათ და ერთმანერ-  
თის მემჭობიას ჯორის წიხლებივით ტუპად გადაემვენ  
შელების ნაწოლისკენ. შელების გამო საღერძილი აშლო-  
დათ, ორივემ დალებული პირები და დაკრეჭილი კბილე-



ბი გადიუოლეს, იქვე ექნებათ პირის ჩაგემრიელება. მაგრამ მოსტუკვდენ და ორივემ ცხვირი წაჟეო თოვლში.

მარცხი თითქოს ართფრად ჩააგდოვო, ერთი მიბრუნდა წასასვლელად, მეორე კი გასწორდა, დაუწეო წინა-უქანა ფეხებით თოვლს თხრა და უკან ურა, თან თავისი საზარელი აუუშ,—გააბა თან მწვეტი ცხვირი მაღლა აიშვირა და დაუწეო წუწნა ცივს ჭავრის, თითქოს თავის ცხვირსა ჭყითხავს, სად წავიდენ შვლებით. მერე თოვლში ჩაჟეო ცხვირი, რაკი ჭავრიდან უერთერი გაიგო და გაჭება ცხვირით შვლების ნაკვალევს. მერე რაკი დარწმუნდა, რომ მართლა ძევალი არისო, თავი მაღლა აიღო, ერთი კიდევ ჩასუნა, და გადახტა და გადახტა გვალდაგვალ შვლებისკენ.

რქიანი ჭავრისა ჭსუნავდა, რომ ერთი უცებ შეხტა და სამი თავდაუირა თავდაღმართზე გადარა, მაგრამ, მარტბა ფეხებმა არც აქ უდალატეს—ერთს წამს, ერთს თვალის (დასამსამებაში) დაფახვაში ისევ ფეხებზე დადგა, თვალი მოჭერა, რომ იმისთ ამსანაგი ველზე გადახტა.

— მუხიანზე, მუხიანზე! დადმა ცერად! მიამასა რქიანმა და თან თვითონაც ცდილობდა მარჯვე საფრენისკენ გადამხტარიეო, მაგრამ ერთი მგელი სწორეთ იქ ამოუჩნდა, საითებნაც აპირობდა. მეტი ღონე არ იუო, უნდა ჩრდილოს ფრიალო ფერდობზე დაშვებულიეო, სადაც ადლზე მეტი თოვლი იდგა. გადახტა რქიანი, მიჭება მგელიც. იმ დაღმართზე და დრმა თოვლში რქიანი სულ ცხრა ადლზე ფრინავდა. დაბალ ბუჩქებს და კუნძებს თავზე გადაეჭლებოდა. მგელი ერთი ნახტომით მოისხლიტა. მშერმა მგელმა ვერ გაჭერა კბილი, მაგრამ რაკი ჭსედავდა თვალით, რას მოეშვებოდა. ფერდობი თითქმის ჩამათავეს.

რქიანს ერთი ნაფრენილა აკლდა და ხევში გადახტებოდა, რომელზედაც დიდი საშეშე გზა მიდიოდა ზევით სულ მთის კუდამდე და ქვევით სოფლის შარამდე. რაკი ხევში ჩავიღოდა, ან აღმა წავიდოდა, ან დაღმა. ამ ორს ფიქრობდა რქიანი, რომ უცებ ბეგს წააღგა ხევისკენ გადაკიდებულს. გაზაფხულზე მოვარდნილს წეალს ძირი გამოეთხარა ფერდობისათვის და რაც ოცი ადლის სიმაღლეზე კრიახ კლდეს მიწა ძვროდა და ხევბი და მცენარეები მდგარიულ სულ ჩამოზვავებულიყო, წეალს წაედო და ახლა ტიტგელი ფეხმოუკიდებული ბეგი იდგა. რაღა დროს ფიქრი იყო, იმვირა რქიანმა ფეხები და გადაეშვა ძირსა. რქიანი მთლად თოვლმა დაფარა, თითქმის თავზედაც კი გადეუარა. ეპ არისო, იფიქრა, ახლა კი დავრჩი ლუკმად მგელსაო. ვაჭ თუ ფეხებმა მიღალატესო. მაგრამ იმისათვის არც ახლა და არც წინათ ფეხებს აროდეს არ ეღალატნათ. ამ ფიქრს თვითონაც თან ამოჰევა რქიანი და გადახტა გზაზე. ამ დროს რქიანის ზემოთ თოვლიდან მგელიც ამოძრა და შეელი სოფლისკენ დაეშვა.

\* \*

ჭეეშენ სოფელში მაღლები; ერთი ამბავი, ბრძოლა და გნიოსი აქვთ. კივიან კაცები. შემინებული მაღლები კარებს მისწოლიან ზურგით, თან აწვებიან, უნდათ შეამტკრიონ, შევიდენ სახლმი, თან იუფლებიან, უგები პატრიონმა გაიღვიმოს და გამოვევეშეელოს მაინცაო. მაგრამ პატრიონი უკრის არ იბერტებას, იცის, რომ საიმისო არა უჭირთ რა. დალოცვილი მაღლი ჭრელია კი მგლებს ორს გერსზე გაჭეოლია. იმას მგლები ვერაფერს უზამენ, ბევრჯელ შემოერტმენ ალუად გარსა, მაგრამ გადახტა თავზე

და გამოექცა. ერთ მგელს სო არ გაუშევებს ცოცხალს. მაშინვე დაახრჩობს. იმის ჰატრონს მწარიას ბევრჯელ გაუკიდნია ჭრელიას დაღრჩობილი მგლის ტუავი გახეთს მროვაზე.

ახლაც მწარია ამდგარა, აუნთია ცეცხლი, გაუღია ქარები, რომ ძაღლი სინათლეს ჭხედავდეს ჰატრონის სახლში და გულადად იყოს.

— ძალიან შორის გაჭიება ჩემი ჭრელია, სოქვა მწარიამ, მგლებმა კი არ დაიჭირონ. მაგრამ ზასუსი კი არავის მიუცია, რადგან მარტო იმას ეფუძნა. შებრუნდა სახლში, დაჯდა კერასთან და დაუწეო ჭრელიას ლოდინი.


\* \* \*

ამ დროს რქიანი, ორი შეკელი და ძაღლები საუანურებზე ამოვიდენ. დაღალულა, რქიანიც, მაგრამ არც მდევარია დასვენებული. მუდამ წამს ელის რქიანი გავლეჭასა და გულმწუხარე ივონებს თავის ტოლსა. ვინ იცის ის გავლიჭეს კიდეც, იმისი ძვალიც აღარსად არის, მე კი ცოცხალი ვარ და სიკვდილს გაურბივარ, რაღად მინდა უმისოდ სიცოცხლე. იმასა სჭამდენ, ვინ იცის და მე კი ვერა ვმველიდე. ეჭ, შემჭამონ ბარებ, შემჭამონ. რაღათა მტანჯვენ. ამ დროს შენიშნა მწარიას სახლის კარებიდან ნათელი. გძლად სვეტად გამოწოლილიერ ბნელს დამემი, თეთრი სინათლე თეთრის თოვლზე, თითქოს გაჭირვებულს ხელს უწვდისო. სინათლისკენ, სინათლისკენ!.. ის მიხსის, იქ არის ხსნა. გაუელვა რქიანს აზრმა. იქითკენ, იქითკენ! ფეხები თითქო არ ემორჩილებოდენ საქანოდ, მაგრამ თვითონ დეზად იქითკენ გასწაა. იქ კაცი დგას ის მგ-

ლებს არ შემატევს, დამიხსნის ამ მოსისხლეებისგან. რაც უნდა იუოს, ის კაცია, მგელი ხომ არ არის, მიშველის.

— ვენაცვალე მენს მოსელას, აბა, ბედიც ამასა ჭევიან, შესძახა გახარებულმა მწარიაძ და გადუსდვა კისერზე სანჯლიანი სელი. დაღალულა, არ მოკვდეს და გაუჟარა უკლი სანჯალი. რქიანს ოფლიანს ებებზე ჩამოვორდა ცხელი ცრემლები და უსულოდ წაიქცა კერაზე.

თ. რაზიაშვილი.



## ଗୋଟିଏ ଖଲୁଳ



ପିତା ଦାନାମି ଶିଖାପୁନାମ;  
ମନ୍ତ୍ରୀଲା ଫ୍ରିମା ନେଲାଇ!  
ନେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର କୃପାନ୍ତି-କ୍ରୀତିର୍ଥୀଦମ,  
ମନୀରମ୍ଭିଷ ପାନା-ପ୍ରେଲାଇ!  
ଦାଲାକ୍ଷ ତାଙ୍କୁ ଆଶିଲ ଅନ୍ତମାସି,  
ଦିନିଲ ହାତକୀର୍ତ୍ତିର୍ଥୀଦମ ଲେଖନୀ;  
ଶ୍ରୀରୂପ ଗାଉଥାରିଦମ ତୁଳନାଲୀ,

ଶାଲାତି ଶ୍ରୀକୃତୀ;  
ନେତ୍ରା ଗାନ୍ଧାରାତ ଜ୍ୟୋତିଲୀ,  
ରା ରିଗାଦ ମନ୍ତ୍ରେନିଲା!..  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ଦାତ୍ତିରା, ଗଢ଼ିରମ୍ଭିନିଦା,  
ଯୁଦ୍ଧଲାଭ ଗାତ୍ରକଥା ମିଲା;  
ଅନ୍ତମା-ପ୍ରାରମ୍ଭଦି ତୁଳନାଲୀ  
ମାତ୍ରା ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ବିଶିରାଦା;  
ଅନ୍ତମା-ପ୍ରାରମ୍ଭଦି ମିଠିଲା,—  
— ଲେଖନୀତ ଶ୍ରୀରଥିଲ ଗମିରାଦା!..  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ  
ମିଶାଯିଲ ଆଶା-ଦିନଦିନା!..  
ପ୍ରାରମ୍ଭଦିଲ ଶ୍ରୀନାମ ତାଵତାଵ  
ଦାସକମିଲ, ଦାସକିଦିନା!..  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ ପାତରନି,  
ଶିରି ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ଶିରାଶିଶା!..  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ: „ଗାନ୍ଧାରିକଥା ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ;  
ମନ୍ତ୍ରୀଲା ଶ୍ରୀଶ୍ରୀନାମ ଶିରାଶିଶା!..“

ଫ୍ରିମା.

## ს უ რ ა თ ე ბ ი

ფრ ნველთა ცხოვრებიდან.

## I

ჰაწაწინ ტელა და უშეკვებელი ფრინვლები.



ეტად მრავალ-ფეროვანია ეს დალოცეილი ბუჩქა! კიდეც  
იმიტომაა, რომ ვერვინ იყლავს ხოლმე სურვილს ბუნე-  
ბის სურათების ცქერით.—

ჯერ მარტო ცხოველების სამეფო რომ გადავათვა-  
ლიეროთ, რომელსაც ფრინველებიც ეკუთვნიან, იმდენს  
სხეა-და-სხეა ჯიშის და მოღმის ცხოველებს შევხვდებით, რომ მათი  
სახელების დახსომებაც კი გაგვიძნელდება,—თუნდ ავიღოთ მხოლოდ  
ის ცხოველები, რომელთაც სერსემლიანი ეწოდებათ. ასეთი სახელი  
მეცნიერებმა იმიტომ უწოდეს, რომ ყველა მათგანი, აღმიანიდან  
დაწყებული ფრინველებამდე და თევზებამდე, ერთ გეგმაზე (პლა-  
ნზე) არიან აშენებული—ყველას ხერხემალი აქეს აგებულობის  
საძირკვლად.

ჰო და, აბა, მარტო ეს ხერხემლიანები გაუშინჯოთ. ჯერ ესენიც  
კი ათასნაირები არიან, ამიტომაც მეცნიერებმა ხერხემლიანი ცხოვე-  
ლები ხუთ განყოფილებად ანუ კლასად გაყვეს.

ის ცხოველები, რომელთაც თბილი წითელი სისხლი აქვთ,  
ფილტვებით სუნთქვენ, ცოცხალ შეილებს შობენ და რძით იკვებე-  
ბიან, ჰირველ განყოფილებაში მოაქციეს და უწოდეს კლასი ძუძუ-  
მწოვართა.—

მეორე კლასს შეადგენენ, ფრინვლები, რომელთაც ტანი ბუმ-  
ბულით აქვთ შემოსილი, თბილი წითელი სისხლი აქვთ, ფილტვე-  
ბით სუნთქვენ და მათი მართვი (წიწილა—ბარტყები) კვერცხები-  
დან გამოიჩეკებიან ხოლმე.

მესამე კლასში მოჰყვენ ქვეწარმავალნი — კუ, ხელიკი, ხეითქი  
(კროკოდილი) და გველები. ამათ ყველას ცივი სისხლი აქვთ, ფილ-  
ტვებით სუნთქვენ და ფრინველებივით კვერცხებიდან გამოიჩეკებიან  
ხოლმე..



မეთოს် კლასს შეადგინენ ცხოველები წეალ-სმეფეთისანი, რო-  
მელთაც წყალშიაც შეუძლიათ ცხოვრება და ხმელეთზედაც, მაგ.  
ბაყაყები, სალამანდრა და სხვ... ამათ ცივი სისხლი აქვთ, პატარა-  
ობისას ჯერ დაუყუჩებით სუნთქვავენ და მერე ფილტვებით.— მრავლდე-  
ბიან ქვირითით და ცვალება (გარდაქმნა) აქვთ. მაგ. ბაყაყის თავ-  
კუტუშა, ქვირითიდან გამოვა თუ არა, ვიღრე ნამდეილ ბაყაყად  
იქცეოდეს, ოთხ-ხუთჯერ იცვლება. ამას გარდაქმნა ჰქვიან.—

მესუთე კლასი შესდგება თევზებისაგან, რომელნიც უმთავრე-  
სად იმითი განირჩევიან დანარჩენ ხერხემლიან ცხოველებიდან, რომ  
თევზები გამუდმებით წყალში ცხოვრებენ, ლაყუჩებით სუნთქვავენ  
წყალში განზავებულ ჰაერს და ქვირითით მრავლდებიან. (ქვირათა,  
იზივე კვერცხია, მხოლოდ ცილა და ნაჭუჭი არა აქს).

აი, უმთავრესად ასე განიყოფებიან ხერხემლიანი ცხოველები,  
მერე რა, განა ამითი თაედება საქმე? სულაც არა. ახლა კიდევ ყვე-  
ლა კლასი ცხოველებისა რამდენიმე ჯგუფებისაგან შესდგება და  
ყველა ჯგუფს თავის წარმომადგენელი სხვა-და-სხვა ცხოველები  
ჰყავთ. მაგრამ დავანებოთ თავი ამ ჯგუფების ჩერეკას, თორემ ისეც  
აუცდით ჩვენს საბასო საგანს და ფრინველების ამბები დაგრძნება.

შემდეგში კი როდისმე მაინც ჯგუფებიც უნდა გავიცნოთ. რა-  
დგან ძრიელ საინტერესონი არიან. მაგალითად განა ღირს-საცნობი  
არ არის, რომ მაიმუნი, ღამურა, ძლარბი, დათეი, ძალლ-თევზა  
(Тевлең), კურდლელი, აქლემი, ღორი, მარტორქა და დიდი უშევ-  
ლებელი სპილოც, ყველანი ესენი ცოცხალ შეილებს შობენ და  
რძით კვებავენ. მაგრამ საინტერესო კი უურო ის არი, რომ თევზო-  
მსგავსი ვეშაპებიც ცოცხალ შეილებს აჩენენ და რძით კვებავენ.  
წარმოიდგინეთ, რომ აწინდელ მეცნიერებს კი თევზის მსგავსი ცხო-  
ველები თურმე ნამდეილი თევზები ეგონათ, რადგან გარეგნობით  
თევზების ძლიერ ჰგეანან და გამუდმებით წყალში ცხოვრებენო.

აბა, სადაური თევზები არიან, როდესაც ეს მეორე საუკუნეა  
რაც მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ის უზარ-მაზარნი ცხოველები  
(Китъ, Кашалотъ), რომელნიც უწინ თევზებად მიაჩნდათ, ცოცხალ  
შეიდებს აჩენენ და რძით გვებავენ. ამათაც, როგორც სხვა ყველა ძუ-  
ძუ-მწოვარ ცხოველებს სისხლი თბილი წითელი აქვთ და ფილ-  
ტვებით სუნთქვავენ, რისთვისაც წყლიდან მალ-მალე ამოყოფენ ხო-  
ლო თავს ჰაერის შესასუნთქად.

ეიდრე ფრინველების ამბებს მოგითხრობდეთ, ისეთი რამ ცხა-  
ველი უნდა გამოვნახო, რომ ფრინველიც იყოს და მხეციც. აი ამი-  
ტომაც გული არ მიძლებს, რომ ერთი საკირველი ამბავიც არ  
გამშოთ. აესტრალიაში ერთნაირი ცხოველები ცხოვრებენ, რომე-  
ლთაც მეცნიერებმა ფრინველები — მსეფები უწოდეს, რადგან გარევნობით  
და შიგნეულობითაც ფრინველებს ძლიერ წააგვანან. მაგალითად  
ისვნისკარტა ფეხბანლიანია, როგორც იხეი და ნამდვილად ისეთივე  
ნისკარტი აქვს როგორც იხეს. — უკბილოა და ფრინველებით არც  
ყურები ეტყობა, თვალებიც ფრინველებს მიუვაეს. ეს ფრინველ-მსგა-  
ვსნი ცხოველებიც (იხნისკარტა და ექიდნა) ძუძუმწოვართა კლასს  
ეყუთნიან, რადგან ცოცხალ შეიღებს შობენ რამდნენსამე ერთად,  
რომელთაც რძითა კვებავენ, თუმც კი ძუძუები სულ არ ეტყობათ.

ამასობაში პირველ კლასსის (ძუძუმწოვართა) ჯგუფები გა-  
დავათვალიერეთ კიდეც. ახლა კი დავანებოთ თავი დანარჩენ ცხო-  
ველებს და აეიღოთ მხოლოდ ფრინველები და ნურც ფრინველების  
ჯგუფებს გამოვეკიდებით, თორემ ძრიელ შორს წავალთ.

თქვენ შემდეგშიაც შეიტყობთ, რომ პირველ ჯგუფს ფრინვე-  
ლებისას შეადგენენ — მორზენადი ფრინველები; 2) მტაცებელი ფრინ-  
ველები, 3) ჩიტებს ჯიშასანი, 4) ხემძერალა, 5) ქათისანი, 6) გუ-  
ბების ფრინველები და მეშეიდე ჯგუფს შეადგენენ წყალში მცურავი  
ფრინველები. —

ამ შამად კი მე მხოლოდ მსურს ორი კითხვა მოგცეთ:

1) აბა, გამოიცანით და დამისახელეთ უკეთებები ფრინვე-  
ლი რომელია?... ჰო, ვიცი, ვიცი, რის თქმაც გინდათ. თქვენ მიპა-  
სუხებთ დობემიკრადა ჩიტი ყველაზე პატარა არისო, თუმცა მართა-  
ლი ხართ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მე ბუზის ტოლა ჩიტის ამ-  
ბავი უნდა გიამბოთ.

ამერკა — საკირველებათა ქვეყანაა. აი, სწორედ ამ ქვეყნის სამ-  
ხრეთ ცხელ ადგილებში ცხოვრებენ პაწაწენტელა ფრინველები, რო-  
მელნიც ჩიტის ჯიშს ეკუთხიან და ისეთი ლამაზები არიან, რომ  
ვერც ერთი ჭრელი პეპელა სიშევნიერით მათ ვერ შეედრება.  
სიდიდით ზოგი ბელურა ჩიტის ოდენაა, ზოგი პეპელას უდრის და



ზოგი კი ჩვენი ოთახის ბუჩქს ძლიერ გადაემატება. ისპანიურად, ამ შეიძლება საოცრად შეენიერ ფრინველს კოლინი ეწოდება და ქართულად კი შეიძლება უწოდოთ — ბუზ-ჩატა ანუ ჩიტ-პეპელა. —



ზეგიერთა კოლიბრი ისეთ ფერად-ფერადათ არის აჭრელებული რომ აღტაცებაში მოხვალთ: რა\_თვალს და მარგალიტს იტყვით და

რა ძეგირფას ქვებს, რომ იმათი ფერები იქ არ იყვენ არეული, თო-  
თქოს ლალი, ზურმუხტი, იაგუნდი, ფირუზი, ალმასი, ბრილიანტი  
ამეთისტო და სარდიონი სულ ზედ შეუყრიათო. ისეთ ნაირად  
ბრჭყვიალებენ, კრიალებენ და აჭრელებულნი არიან ათასს ნაირ  
ფერის ზიზილ-პიპილათი, რომ მზიან დღეში კაცი თვალს ვერ გაუ-  
შტერებს. საკვირველი კი ის არის, რომ ასე შეენიერად, ფერად-ფე-  
რადათ შემკიბილი ლამაზი ჩიტები არ გაჯობენ და მთელი დღეო-  
ბით კი პეპელებიერით. დასტრუიალებენ და ჭიკჭიკით დაჭარიან ყვა-  
ვილებს და ბუჩქებს. გელი წერილი ნისკარტი და შუაზედ გაპობი-  
ლი ძაფის სისხო ენა, თითქოს განგებ აქვთ მოწყობილი, რომ პე-  
პელებსაერთ ხან ერთი ყვავილიდან ამოწუწნონ ტკბილი წენი, ნეკ-  
ტარი და ხან მეორიდან. მაგრამ ზოგჯერ პაწაწუნტელა მწერებს  
და ბუზებზედაც ნავარდობენ. მეტის მეტი ცოცხალი, მაღაზები არიან  
ჰერელა-ჩიტები, ერთ წამს თავის ქერქში არ დადგებიან, ან ერთმა-  
ნეთს ეჩხუბებიან, ან ყვავილებს დაჭარიან და თაფლს ეძებენ.

შესანიშნავია აგრეთვე ამ ბუზისტოლა ჩიტების ბულები. ის გან-  
გებ ისეთს ალაგს გამონახავს, რომ მის ბუდეს ვერც გველი მიუღ-  
ეს და ვერც მაიმუნებმა იპოვონ, აგრე დახედეთ სურათს წერილ  
ტოტზე ჩამოყიდულია ბუზი-ტელა ჩიტის ბუდე. მერე რა გვონიათ  
რამოლენები უნდა იყოს მათი კვერცხები—დედალი ჩიტი სულ ორ  
კვერცხს სდებს რომელნიც სიღიღით მუხუდოს ტოლა არიან. ბარ-  
ტყებს საშინელის სიმამაცით იცავენ მტრისაგან. — ბუნების მეცნიერს  
გამოჩენილ ბრეშს, მთელი მოთხრობა აქვს აღწერილი ამ ყველა  
ფრინველთა შორის პაწაწუნტელა და უშეენიერეს ფრინველების  
ცხოვრებაზე.

---

აბა, ახლა გამოიცანით და დამისახელეთ ყველაზედ დიდი, უშვე-  
ლებელი ფრინველი რომელია? თქვენ, რასაკეირველია, მეტყვით სი-  
რაჯემაო, ან ორბი, ან სეავიო. ერთის მხრივ სრულებით მართა-  
ლი ხართ.

მფრინავ ფრინველთა შორის სიღიღით ორბს ვერც ერთი  
ფრინველი ვერ შეედრება. ამერიკაში ანდის მთების ორბი, ანუ ამე-  
რიკული სვავი, როცა ფრთებს გაშლის, სიგძით ორ საფენამდის  
უდრის ე. ი. თითო გაშლილ ფრთას საფენის სიგძე აქვს. ხოლო  
რაც შეეხება ძალას, ორბი ისეთი ღონიერია, რომ დიდი ცხვარი და  
თუ გინდ ხბოც გაუჭირვებლივ შეუძლია აიტანს ჰერში, ზოგი-

ერთი მონაცირები იმასაც კი გვაჯერებენ, რომ ორბს შეუძლია ძროხაც დასძრასო. მართლაც და შესანიშნავია; ორბის ფრთხების ძალა, თურმე შეიდ-რეა ვერსის სიმაღლეზე აღის ცაში, ასე რომ ყვავის ტოლა ძლიერ-და სჩანსო. თუმცა ორბი ხშირად თავგამოდებითაც ებრძეიან მონაცირებს, როცა იგინი ორბის ბუდეს შლიან, მაგრამ საზოგადოდ შემჩნეულია, რომ როგორც ყველა სეავი, ორბიც ვერაფერი მამაცნი ბრძანდებიან.

მურინავ ფრინველთა შორის ორიოდე უშეელებელი ფრინველიც ვიცით, რომელნიც ზღვებში ცხოვრებენ. მაგალითად ალბატორის ბატის მსგავსი ფრინველია, რომელიც სამხრეთ ზღვებში დაცურაობს და მხოლოდ თევზებით იკვებება. როგორც შავ ან კასპიის ზღვაში გინახავთ ერთნაირი თეთრი ფრინველები, რომელნიც გემებს დაედევნებიან ხოლმე, ისე ალბატორისია იმ ზღვებში, მაგრამ ალბატორისის გაშლილი ფრთხები სიგძით ორ საჭენაც გადაემატება, მაშასადამე წარმოიდგინეთ თითონ რაღა სიღიღისა უნდა იყოს. რაც უნდა დიდი ქარიშხალი და საშინელი დელვა იყოს, ალბატორის ისეთი ძალა აქვს ფრთხებში, რომ ეს ამოდენა ფრინველი თავის თითო საჭენიან მძლავრ ფრთხებით შეუზე აპობს ყოველივე დაბრკოლებას და ვერავითარი დელვა წინ ვერ აღუდება მის გაქანებულ ფრენას.

მაგრამ ყველა ეს ზემო ნათქვამი ფრინველები ორბი, სეავი, ზღვის ალბატორის და ფრელატი უშეელებელნი არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც თავიანთ მძლავრ ფრთხებს გაშლიან. ხოლო თუ გვინდა უშეელებელი ფრინველები გაეიცნოთ ტანის სიღიღით და სიმაღლით, მაშინ უნდა დაეანებოთ თავი მფრენავ ფრინველებს და გადავათვალიეროთ მორშენადი ფრინველები. მაგალითად სირაქლემას, ტანის სიღიღით ვერა ფრინველი ვერ შეეძრება. სირაქლემა სიმაღლით ერთი საჭენია და კიდევ ერთი მტკაველიც მეტი, რო ვიანგარიშოთ მიწიდან თავის ქოჩამდე, მაშასადამე ძლიერ ძნელად იპოვით სირაქლემის სიმაღლე კაცი და ისიც ცირკებში საჩენებელი გახდება. სიმძიმით სირაქლემა ათ ფუთამე იწონს და ისეთი ღონიერია, რომ ერთხელ ბ. ადანსონმა აფრიკაში ორი ზანგი შესვა სირაქლემაზე და ისეთი გაქანებული სირბილით წაიღო სირაქლემამ ეს ორი კაცი, რო გაჭენებული ცხენი ვერ დაეწეოდა.

მორშენად ფრინველ ვის შორის სირაქლემას შემდეგ დიდრონ ფრინველებად ითვლებიას ნანდუ, ანუ ამერიკული სირაქლემა, მერე

აესტრალიის გაზუარი და სხვ., რომელნიც სიმაღლით საკენჭე მაგრამ არიან. ტა ნაკლები არიან. მაგრამ რას ბძანებთ? რა სათქმელები არიან ან სირაჭლემა ან სხვა ზედ ჩამოთვლილი ფრინვლები, ან ოთხიოდე საუკუნის წინეთ




ახალზელანდიაში, მართლაც და ისეთი ჭურველებელი, ფრინვლები ცხოვრობდენ თურმე, რომ სირაჭლემა, აუ, რა სათქმელია ან რა

საკადრისია. სირაქლემა იმ ფრინველთან ისეთივე გამოჩნდებოდა როგორც პატარა ბავში ვეებერთელა ვაჟყაცთან.


ამ გასაოცარ სიღიღის ფრინველს სახელად მოა ეწოდებოდა, ანუ *Dinornis giganteus* მეცნიერულად. ზოგიერთა მუხეუმებში ამ ფრინველი ამ ფრინველის ჩანჩხი-ლა აქვთ ჭართული და ამ ჩონჩხით შეიტყობთ, რომ ის მართლად და უშველებელი ფრინველი სიმაღლით თვარაშეტა ფუტი ე. ი. თითქმის ორი საფენი და ორი არშინის სიმაღლე ყოფილა!

ახლა ამ სიმაღლის შედარებით თქვენ თითონ წარმოიდგინეთ რამსისხო ფრინველი იყო: იმის წევის ძვალი თურმე კაცის ბარძაყის ძელის სისხოა. მაგრამ რა საჭიროა, აგერ დაკვირდით სურათს და შეადარეთ მოას სიმაღლე, იქვე მდგომ ერთ სართულიან ქვითკირის შენობას.

ეგ კიდევ რა. მაღაგასკარში უწინ ერთნაირ ფრინველსაც უცხოვრია, რომელსაც ეპითონისი ეწოდებოდა. პარიეს მუხეუმებში აქვთ შენახული ხსენებულ ეპითონის კვერცხი, რომელიც შეგიძლიათ ამ ფარათაც ნახოთ. ეს უშველებელი კვერცხი, სირაქლემის კვერცხე ექვსჯერ დიდია და ზემოდ რო პაწაწუნტელა ჩიტი გაგაცანით



1.



2.



3. 4.

კოლიბრი, ანუ ჩიტ-პეპელა, ამ ბუზიტელა, ჩიტის თორმეტი ათასი კვერცხი რო აუიღოთ ძლიერ უდრის ეპითონის ერთს კვერცხს.

ქათმის კვერცხი კიდევ ას-ორმოც-და-ათი უნდა, ამ ეპიორნის კვერცხს თურმე ისეთი მაგარი, სქელი ნაჭუჭი აქს, რომ ჩაქუჩით ძლიეს, გასტეხავთ.

აგერ ნახატზე წარმოდგენილია შედარებითი სიღიღის კვერცხები, პირველი მაღაგასკარის ფრინველის ეპიორნის კვერცხია, მეორე სირაჭეულემასი, მესამე ქათმისა და მეოთხე კოლიბრისა ანუ ბუზიტოლა ჩიტისა. ახლა თქვენ თითონ შეადარეთ და წარმოიღინეთ რამდენად მრავალფეროვანია, დალოცილი ბუნება.

ღლივო.

### ბების სათვალები

ბებია ჩემი თავის სათვალებით რომ დამაცქერდება, მა-  
მინვე შემატეობს ცუღლუტობას და მეტყვის:

— შენ ცელებობას თვალებზე გატეობო!

მეც სან გვერდზე მივიბრუნებ სახეს, სან მირს დაუ-  
შვებ, რომ თვალებში არა ამოიკითხოს რა, მაგრამ ის  
მაინც უველავერს მიმისვდება.

ამას წინეთ მე ჩამოვიწვი ბებიას სათვალები და მი-  
ნდოდა ახლა მე ამომეკითხა იმის თვალებში,—ვუცქერი,  
ვუცქირე და ვერა შევატეერა.

თურმე მარტო ბებიას ცოდნა ჩვენ თვალებში ამო-  
კითხვა.

### გულ-კეთილი ხალიცა.

ერთი ხალიცა იუო გათემული გულ-კეთილობით. მი-  
სი სახლი უოველთვის გლახაკებით სავსე იუო. უველას გულ-  
უხვად არჩენდა.

ერთხელ უთხრეს იმ სალიფას:

— შენისთანა, გულ-მოწეალე იშვიათია ქვეყანაზე! ამა-  
 ზე სალიფამ უჩასუსა: ჩემი მოწეალება ზოგჯერ არ გა-  
 დისო. ერთხელ დიდი სადილი გავმართე გლახაკთათვის  
 და იმ ღლესვე მომიხდა ქალაქ გარეთ გასეირნება. უეცრად  
 დავინაზე ერთი საწეალი კაცი, ომელიც აგროვებდა ეკა-  
 ლას და ჭამდა. მივედი და უთხარი:

— რატომ არ მიდისარ სალიფასთან; იქ ღლეს ღდიდ  
 სადილია გლახაკთათვის-მეთქი.

— ვისაც თავის თავლით შეუძლია პურის ჭამა, რად  
 წავა სალიფას სადილზეო—მიჩასუსა ამავად საწეალმა.


### ალალმართალი ბასუში


პატარა ნუცას მისცეს თავლი და პური.

პატარა სანს უკან ნუცამ მოითხოვა კიდევ,

— გეეოვა შვილო, რაც მოგეცი! უთხრა ღეღაძ.

— მე კი არ შემიჭამია თავლი, პურმა შესწუწნაო,  
 უჩასუსა ნუცამ ალალ-მართლად.





### ა ნ დ ა ჭ ე ბ ი

1. კაცს რო კაცი ეჯავრება,  
სიტყვა ჯლაყა-ჯლუყიაო,  
და ჭმა ჭლაპა-ჭლუპიაო.
2. ცოტას მხენელი და მთესველი მეუფეს ემდურებოდა.
3. ეინ მოჰკლა ხარი, ირემი, ვინ არაკრაკებს კულასა.

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი დ: ნახუცრიშვილისაგან)

სელია, სელია, ყოველ წამს სეელია,  
უიმისოთ არ ვარგხარ, თუ აიღე ხელია.

მამა კაცი ვიყავი, დედაკაცად მაქციეს;  
შვილი არა მყოლია, გამდლად გადამაქციეს.

ყმაწვილის სასარგებლო ვარ და მისგანვე განწირული,  
თავსა მჭრის, რომ გამომიჩნდეს დაფარული შავი გული.

### ხ მ ა

(წარმოდგენილი მ: ლელაშვილისაგან)

გიგომ გაიძრო ხანჯალი,  
მოხუცი გაგმირებულია,

მამაცი ხელით მტერს მუსრავს,  
ნახე ვით გამხნევებულა!

(წარმოდგენილი ცხინვალელისაგან)

გარეგნათ ცვლილი ამ ფამათ, იგრე ერია დღესაცა,  
თუმცა ესწრაფა ელდისგან, მტერის თავისკენ მიდგომას.

ა ნ ა გ რ ა მ პ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

თავიდან ნაცვალ სახელი,  
ბოლოდან ყეავილთ სახელი.  
აბა შუა სანი ჩასვით,  
ვნახოთ მაშინ რა გამოვა?  
თავიდან რიცხეს სახელი  
ბოლოდან ნაცვალ სახელი.

მატემატიკური გამოცანები

(წარმოდგენილი მისგანვე)

1. რამდენ ციფროვან რიცხვებს აქვთ შემდეგი ოვისება? დასწერეთ რომელიმე საძებარი რიცხვი, მოუწერეთ ისევ ის რიცხვი უკულმა. (ბოლოდან) დაწერილი და გამოაკლეთ ერთი მეორეს, უეჭველად მიეიღებთ იმისთანა რიცხვს, რომლის ჯამი იქნება ყოველთვის 18.

2. — ერთ ბალს ყარაულობდენ 24 კაცი. ამ ბალს ჰქონდა რეა საყარაულო — კუთხებში და ყოველ მხრივ შუა ალაგას. ბალს ხშირად ესხმოდენ ქურდები ოთხი მხრიდან, მაგრამ ეს ოცდა ოთხი კაცი ისე ოსტატურად დგებოდენ საყარაულოში, რომ მათი რიცხვი ყოველთვის მეტი გამოიდიოდა ქურდების რიცხვზე და ამიტომ ქურდები ველარ ბედავდენ თავ დასხმას. პირველად მოვიდა საქურდლად 28 კაცი ოთხი მხრიდან შეიდი კაცი, მაგრამ იმათ დახედათ კუველ მხარეს რეა რეა ყარაული. წაეიდენ ქურდები უკან, იშოვეს კიდევ ოთხი კაცი და თითო მხრიდან მოვიდა ბალში რეა კაცი, მაგრამ

ახლა ბალში თვითოვეულ მხარეს დახვდათ ცხრა ცხრა ყარაული 36 კაცი. ქურდები დაბრუნდენ და პატარა ხანს უკან მოვიდენ 36-ნი თითოვეულ მხარეს ცხრა ცხრა კაცი. მებაღეები შეშორდენ, დალაგდენ საყარაულოებში ისე, რომ ეს 24 კაცი ეჩვენენ ორმოც კაცად თვითოვეულ მხარეს ათ ათი ყარაული. უკანასკნელად წავიდენ ქურდები და კიდევ იშოვეს ოთხი კაცი და მოვიდენ 40 თითო მხარეს ათ ათი კაცი; მაგრამ მათ გასაოცრად დახვდათ ბალში უფრო მეტი თვითოვეულს მხარეს თერთმეტი ყარაული სულ 44 კაცი.

— როგორ ეწყობოდენ ეს 24 კაცი ისე, რომ ქურდებს, პირველად ეჩვენენ 32 კაცად, მეორეთ 36-ტად მესამეთ 40-ცად და მეოთხეთ 44 კაცად?

### ხალხური ლექსები

მარტია ერთს კვირას უკანა  
გაღმოაგდო საგდებელი;  
საგდებელი ასეთია  
მოიარა ტყე და ველი.  
როგორც ჩვენმა პატარძლებმა  
დღით ხუთჯერ წაისვა ფერი.  
ხან თოვლის ბური ტრიალებს,  
ხან შზე გამოჩნდება ცხელი.  
გაწყვიტა ცხეარი და ძროხა  
არ გაუშვა ჭაკი ცხენი.  
აპრილმა შემოუთვალა,  
მარტო ნუ ხარ ჭკუა თხელი.  
შენ შენი გაგვირევებია  
ახლა მოინახე ჩემი.  
შენს ოჩხარში ფულად იყო  
კამეჩების თაერიელი,  
ჩემს ოჩხარში ბისტათ არი  
კამეჩების თაერიელი.



და გამოვა იგი სიტყვა რასაც მე თქმენ გეკითხებით.  
იმერთ, ვისაც ბევრი მოგლით, იცოდეთ რომ გაკეთლებით!

რებუსი

(წარმოდგენილი ერმილე ლობუანისაგან)



ს  
ა  
მ



შ  
ვ  
ე  
ა  
ხ



უ



მ  
უ  
დარის



ი  
ს



კ  
გ  
ს




ვ  
ი


ვარ  
სავ  
ლავს  
ი




ნ  
გ  
ი



ღ  
თ  
ა  
ე  
ბ



ჰ  
ე



კ  
ნ  
ი



პ  
ი



ღ  
ე



ც  
ა  
ე  
ს  
ე



რ  
ა  
ი  
ს  
ე



რ  
ე  
ს

## № 1 გამოცანების ასენა:

1) ბავში, 2) პური, 3) სარკე, 4) ეარდი.

ზმა: ნიკა ბარათაშვილი. 2) თევზი, ხილი, რაზა, სახე, ლელვი,  
ენა, თხა.

აკროსტიხი: ალ. ყაზბეგი.—ქარი.

ისტორიული აკროსტიხი: შაჰებაზი.

ეპიტეზისი: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყვეს თუნდა ხეადია.  
მიღოცვის ასენა: 1) მოგილოცავ, მამილოჯან.

მაცხოვარი,

მფარველია.

შარადა: ბასილა.

რებუსი: 1) მელია ქათამს უყურებს. 2) ასი დამკარ და ერთი მარ-  
თალი მათქმევინე.

ზმა, აკროსტიხი, ეპიტეზისი და შარადა გამოიცნო ერმილე ლო-  
ბჯანიძემ.

ჩებუსი და გამოცანები ახსნა სილნალის სამოქალაქო სასწავ-  
ლებლის მოწაფემ რომან ყაერიევმა.



სტეფანიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „ბ გ ძ ლ ი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბაზამდის

რედაქტია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგი-დან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთი. ნახევარის წლისა გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ., გაგზავნით **4** მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთი, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზალ.

### ხ ე ლ ი ს-მ ო ჭ ე რ ა გ ი ი ლ ე ბ ა

ტფილისში არწრუნისეულ ქარეასლის ქართული სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხების საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქტიაში, (Большая Водовозная, № 22 д. Айвазова).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „ჯეჯილის“ აექნება.

ვინც „ჭუჭალის“ და „ჭგალს“ ერთად დაიბარებს, იმათვის წლიურად ელირება გაუგზავნელად **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. ო-წერეთლისა.

# საქმაწვილო ნასატებიანი ქურნალი

## შ მ შ ი ლ ი

### შელიფადი გენურა

გამოვა 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

უურნალში მონაწილეობის შილება აღვეითქვეს ყველა ჩეენში საუკეთესო მწერლებმა.

უურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორგაში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში — „წერა-კითხეის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაკციაში (Большая Водовозная ул., д. № 22 Айвазова).

2) შუთაიუში—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორგაში—გ. დავიდოვთან.

4) ბათუმში—გ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში—გ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—გარამან ჩხეიძესთან.

7) ბაჭოში—ეს. ამაშუკელთან.

8) გვირილაში—თ, ხუსკივაძესთან.

ფოსტის აღრესი: В გ. Тиф. მის ვ რედაკციი ერთ გურიაში და თბილის ქადაგში: „Джеджили“.